რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შ[illegible]

ხუთშაბათი, 4 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ., ექვსი თვით 27 მ., ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. [illegible]

წერილები და ფული უნდა მოწერონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] Тифлисъ, Головинскій просп. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 2 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 2

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.

ორი თვით — 9 მანეთი.

სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.

ექვსი თვით — 27 მანეთი

ერთი წლით — 50 მანეთი

ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები [illegible] (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყველა შემთხვევაში უცვლელი დარჩება, [illegible] თუ ბაზრის მდგომარეობა გაუძვრება.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

[illegible] ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ერთობ დამწუხრებული [illegible] სიმონის ძე კუპატაძე, მამამთილი [illegible] ზურაბის ასული კუპატაძე, [illegible] ცაბო სიმონის ასული [illegible] ჯონიკიძე და პელაგია [illegible] ყოწია, ანდრო, გუგუშა და [illegible] ნათესავთ, ნაცნობთ და [illegible] საყვარელი

**სონას**

[illegible] სოფ. ლორეშაში ([illegible]) [illegible] იანვარს. 3—2

[illegible] ამხ. გვარდიელები იმავე [illegible] და მოქალაქეთ უფროსი [illegible]

**სოსო (იოსებ) ნაცვალოვის**

[illegible] 1917 წელს, [illegible]

1918 წ. იანვრის 1 თებერვალიდან გამოვა ჟურნალი

**„ახალი კვალი“**

ორგანი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

[illegible]

[illegible] Тифлисъ. Вера Мачабеліальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ

**„სოციალ-დემოკრატ“-ზე**

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორი თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ.; ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

[illegible] —50 კაპ. [illegible] —10 მან.

[illegible] Кутаисъ. почт. ящ. № 9 Тутку Гвараміи.

## ქართული უნივერსიტეტი

**თბილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში**

[illegible]

[illegible] в канцелярію Грузинскаго Университета. Тифлисъ, зданіе Грузинской гимназіи.

[illegible] (15—4)

ექიმი

## ნ. პ. რუხაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხეილის პრ., № 78; ბინა 2.

## ნარევი ტაქტიკა

ბოლშევიკების ანარქო-ბლანკისტურმა ტაქტიკამ ყოველგვარ ზომიერებას გადააჭარბა და იგი მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგს სავსებით მოშორდა.

მიმდინარე [illegible] ტროცკის მოქმედება ობიექტიურ პირობებს, საწარმოო ძალთა განვითარებას არ ეგუება, რუსეთის ეკონომიურ-სოციალურ-კულტურულ მდგომარეობას ანგარიშს არ უწევენ და მათ ძალ-მომრეობა და ხიშტოკრატია (ხიშტებით ბატონობა) მთავარ ლოზუნგათ წამოაყენეს. ლენინ-ტროცკის ტაქტიკა ერთსა და იმავე დროს ბლანკისტურიცაა, ანარქისტული, ჟირონდისტული, დიურინგისებური და ყველა ტიპის სოციალისტური, გარდა რასაკვირველია მარქსისტულისა.

ბოლშევიკების ლიდერებმა ყველა იმ სოციალისტურ მიმდინარეობიდან, რომლის წინააღმდეგაც მარქს-ენგელსი მთელი ნახევარი საუკუნე მეტი იბრძოდენ, თავიანთვის ხელსაყრელი ბრძოლის ტაქტიკა გამოძებნეს; სხვადასხვა სოციალისტური მიმდინარეობიდან შეითვისეს ბრძოლის მეთოდები, ყველა ესენი ერთად შეადუღეს და გამოვიდა ის, რაც დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება მეცნიერულ სოციალიზმს—კარლ მარქსის მსოფლმხედველობას.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ჟირონდისტები, როგორც ამ ჟამათ ბოლშევიკები თავიანთ თავს უკიდურეს რევოლიუციონერებათ სთვლიდენ და ხალხს „აქტიური გამოსვლებისაკენ“ მოუწოდებდენ. ისინი წინააღმდეგ რობესპიერისა ხალხს შეთქმულობისაკენ ერეკებოდენ და შეთქმულობის მეოხებით ცდილობდენ სოციალურსა და ეკონომიური უკულმართობის მოსპობას.

ბოლშევიკები, როგორც ჟირონდისტები, მასას დამათრობელ ფრაზებით, ყოველგვარ ლოზუნგებით მცირედ შეგნებულ მუშებსა და ჯარისკაცებს აყრუებენ და გონიათ ამ გზით შეიძლება პროლეტარიატისათვის სანატრელი დროს დამყარება. მაგრამ რობესპიერი მშვენივრათ შენიშნავდა: ჟირონდისტებს გონიათ, რომ ხალხთა სვე-ბედი და მათი მომავალი მხოლოდ რიტორიული ფრაზებით განისაზღვრებაო.

„აქტიური გამოსვლები კარლ მარქსსაც უყვარდა, მაგრამ იგი მუდამ და ყოველთვის ობიექტიურსა და სუბიექტურ პირობებს ანგარიშს უწევდა და მისი გამოსვლები არსებითად განსხვავდებოდა ბლანკისტების „აქტიურ გამოსვლებიდან“. ბლანკისტების გამოსვლებს, ისე, როგორც ბოლშევიკურ „აქტიურ გამოსვლებს“, „ბუნტარული“ ხასიათი აქვს და უკანასკნელები ფართო რევოლიუციონურ მასას დამარცხებისაკენ მიაქანებენ.

ვინც კი რევოლიუციის ისტორიას ოდნავ მაინც გასცნობია, იმათ აუცილებლათ ეცოდინებათ, რომ ბლანკიზმმა საფრანგეთის რევოლიუციონურ კლასებს მრავალი დამარცხება მიაყენა და მთელი ისტორია ასეთი დამარცხებით არის მდიდარი.

კარლ მარქსი გვასწავლის, რომ მატერიალური ძალა მატერიალური ძალის საშუალებით უნდა დაემხოს, მაგრამ თეორიაც იგივე მატერიალური ძალაა, როცა იგი მასის ხელმისაწვდომი გახდება და ფართო მასაში შეგნება-შემეცნებათ იქცევა.

მაგრამ ბლანკისტური სოციალისტები —ბოლშევიკები ამას ივიწყებენ, ისინი ანგარიშს არ უწევენ მასის ობიექტიურსა და სუბიექტურ პირობებს და ამით ბლანკიზმის ყურ-მოჭრილ მონათ გადაიქცენ. მათ შეგნება და კლასობრივი შეკავშირების მაგიერ დიურინგისავით ძალმომრეობა წააწერეს თავიანთ დროშას. დიურინგის შეხედულებით პოლიტიკურ ცხოვრებას „ხმლიანი ადამიანები“ ქმნიან და პოლიტიკურ ასპარეზზე ასეთი ადამიანები ახდენენ დიდ ცვლილებასო. ისიც ვიცით, თუ ფრიდრიხ ენგელსმა დიურინგის ასეთი შეხედულება თავის „ანტი-დიურინგში“ როგორი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და როგორ დაგმო დიურინგის „ძალადობის თეორია“.

ბოლშევიკები მხოლოდ იმით აღარ გვანან ბლანკისტებს, რომ ისინი ფართო მასის ინტერესებს მაინც ანგარიშს უწევდენ და ბლანკისტების ტაქტიკა მასიურ მოძრაობის სულისკვეთებიდან გამომდინარეობდა. ბოლშევიკები თითონ ქმნიან ძალმომრეობის ტაქტიკას და მას მასას თავზე ახვევენ.

ოქტომბრის გადმოტრიალების შემდეგ ბოლშევიკებმა ხიშტების მეოხებით ხალხის ფართო დემოკრატიულ მოძრაობას დევნა დაუწყეს, სოციალისტურ პრესას და აგიტაციას რკინის სალტეები შემოუჭირეს და მასაში შეგნების მაგიერ დეზორგანიზაცია და ანარქიული მოძრაობა გაანატონეს.

დიახ—ბოლშევიკებმა უარყვეს მეცნიერული სოციალიზმი, შეთქმულობისა და ძალმომრეობის პარტიათ გადაიქცენ და მათ რევოლიუციონურ ფართო მასის სიმპატია მოაკლდათ. ჯერ ისევ ძველი „ისკრა“-ში და „ზარია“-ში გ. პლეხანოვი ამტკიცებდა, რომ ხალხის რევოლიუციონური ძალა იმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა მას საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერსო. მაშინ პლეხანოვის ასეთ შეხედულებას ლენინ-ტროცკიც იზიარებდენ და მისი შეხედულების ერთგული დამცველნი იყვნენ. მაგრამ ისტორიის ბრუნვამ ბოლშევიკები მარქსიზმის ნიადაგს მოსწყვიტა და ისინი ახლა სავსებით ისეთ სოციალისტური მოძრაობის ბანაკში მოკალათდენ, რომლებსაც მარქს-ენგელსი სასტიკათ ებრძოდენ.

ბოლშევიკები ანარქო-ბლანკისტებისა და დიურინგ-ჟირონდისტების ბრძოლის ტაქტიკით შეიარაღდენ და მით რუსეთის მთელს რევოლიუციას ანარქიზმისაკენ მიაქანებენ. მაგრამ ბოლშევიკების ავანტიურის დღეები ითვლება და მათ ბატონობასაც ბოლო ელება.

## სოციალ-დემოკრატული პარტია 1917 წ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტია ოთხმოციან წლებში დაარსდა „ნაროდოვოლცების“ დამარცხების შემდეგ. პირველათ ის ემიგრანტთა მცირე ჯგუფისაგან შესდგებოდა გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით. შემდეგ ამ ჯგუფმა რუსეთში გადმოიტანა მოღვაწეობა და მიუხედავათ სასტიკი დევნისა მისი ორგანიზაციები მთელს სახელმწიფოს მოედო.

წევრთა რიცხვით და ორგანიზაციის სიფართოვით ის არ იყო ძლიერი, თუმცა მისი გავლენი განუზომელი იყო ცხოვრების ყველა დირგებში. ორგანიზაციულათ სუსტი და უმნიშვნელო, ხოლო იდეით და გავლენით ძლიერი—ასეთი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია 1917 წლის 27 თებერვლამდე.

27 თებერვალს ხალხის და ჯარის შეერთებულმა ძალამ თვითმპყრობელობა დაანგრია და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცხოვრებაში ახალი ხანა დადგა: არალეგალური, დევნილი პარტია მზის სინათლეზე ამოვიდა და ცხოვრებას სათავეში მოექცა. მისი ვიწრო კალაპოტი გაფართოვდა, ყველას საშუალება მიეცა პარტიაში ჩაწერის. მიუხედავათ ამისა პარტია წევრთა რიცხვით, რაოდენობით მაინც დაბლა იდგა იმ გავლენასთან შედარებით, რომელიც მას ქონდა, ყველა სფეროში ემჩნეოდა პარტიის გავლენა: მუშათა და სალდათა დეპუტატების საბჭოები და დროებითი მთავრობა—ყველანი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის იდეურ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ რევოლიუციის პირველ თვეების ორგანიზაციები სოციალ-დემოკრატებისაგან ყოფილიყო შემდგარი. პირიქით, თითქმის მთელი ჯარი და გლეხთა საბჭოები სოციალისტ-რევოლიუციონერთა მიმდევრებათ ითვლებოდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ყველანი სოციალ-დემოკრატიულ იდეების გავლენის ქვეშ იდგენ.

საუბედუროთ, თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რაზმებში არ იყო სოლიდარობა და თანხმობა: ჯერ კიდევ 1903 წელს იჩინა პარტიაში თავი ორმა მთავარმა მიმდინარეობამ — მენშევიზმბოლშევიზმმა. იყო მომენტები, როცა პარტიის ეს ორი ფრთა თანხმობით მოქმედებდენ—ასეთი იყო, მაგალითად, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მოღვაწეობა მეორე სათათბიროში.

1917 წლის რევოლიუციას პარტია ორათ შეხვდა გაყოფილი. ეს განხეთქილება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც საზღვარ-გარეთიდან ბოლშევიკების მეთაური—ლენინი—ჩამოვიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რევოლიუციას სათავეში მოექცა სოციალდემოკრატია, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მისი ერთი ნაწილი—მენშევიკების ფრთა. ეს გაბატონებული ნაწილი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ პარტიის გაერთიანება მომხდარიყო. ამისთვის მოწვეულ იქნა მაისის კონფერენცია, რომელმაც საორგანიზაციო კომიტეტი აირჩია ყრილობის მოსაწვევათ.

ეს ყრილობა, სახელწოდებით **გაერთიანებული ყრილობა**, მოწვეულ იქნა პეტროგრადში 1917 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში. ყრილობას დაესწრო 195 დელეგატი, რომელიც წარმოადგენდა 207 ათასს პარტიის წევრს. ლენინელი ბოლშევიკები მას არ დასწრებიან.

ყრილობაზე თავი იჩინა ორმა მთავარმა მიმდინარეობამ: ერთის წარმომადგენელი იყო მარტოვი—ეს არის მიმდინარეობა ეგრედ წოდებული ინტერნაციონალისტების, ხოლო მეორის საორგანიზაციო კომიტეტი (მომხსენებელი იყო წერეთელი)—მიმდინარეობა ეგრედ წოდებულ „ობორონცების“.

მენშევიკები სწორ მარქსისტულ ტაქტიკას აწარმოებდენ, თავიდან იცავდენ პრინციპს—თანამშრომლობის ყველა იმ კლასებთან და წრეებთან, რომელნიც ძველ წყობილების ნაშთებს ოპოზიციაში უდგანან, მაგრამ როდესაც ბურჟუაზია უკვე კონტრ-რევოლიუციონურ გზას დაადგა, კოალიციის პოლიტიკა მაინც გრძელდებოდა, რამაც თვით მენშევიკთა ბანაკში დაბადა უკმაყოფილება. ამათი მეთაური იყო ყრილობაზე მარტოვი. მარტოვის რეზოლიუციამ მომენტის შესახებ შეკრიბა 79 ხმა, წერეთლის მიმდევართა 115 ხმის წინააღმდეგ. წერეთლის რეზოლიუციამ ამ რიგათ გაიმარჯვა.

მარტოვმა სხვათა შორის, სთქვა ოპორტუნისტულ პოლიტიკის შესახებ: ახლა რომ სადმედან გაჩნდეს რომელიმე ჯგუფი ზავის ლოზუნგით, ის მთელ მასსას თან გაიყოლიებს და ბორკილებში ჩასვამსო.

მარტოვის ეს წინასწარმეტყველური გაფრთხილება მართალი გამოდგა. ამ სიტყვების წარმოთქმიდან სწორედ ორი თვის შემდეგ ოქტომბერში გამოჩნდა უპასუხისმგებლო ჯგუფი ლენინ-ტროცკის მეთაურობით სწორეთ ზავის ლოზუნგით. მან ხელში ჩაიგდო მასსა, განსაკუთრებით სალდათთა მასსა, და მართლა ბორკილებში ჩასვა ის.

ამ გარემოებამ დიდი გავლენა მოახდინა პარტიის ტაქტიკაზე. აგვისტოს ყრილობიდან სამი თვის შემდეგ, დეკემბრის პირველ რიცხვებში, კვლავ გაიმართა პარტიული ყრილობა, რომელსაც ბოლშევიკურ გამოსვლისთვის, როგორც უკვე მომხდარ ფაქტისთვის უნდა გაეწია ანგარიში. კითხვა დაისვა მთავრობის შედგენის შესახებ. მიმდინარეობა, რომელიც ითხოვდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას და მთავრობის უბოლშევიკოთ შედგენას დამარცხდა და მიღებულ იქნა მარტოვის ფორმულა ერთგვარ დემოკრატიულ მთავრობის შედგენის შესახებ ბოლშევიკებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტებამდი.

და თუ ასეთი მთავრობა ჯერ კიდევ არ არის შედგენილი, ეს ბოლშევიკების ბრმა პოლიტიკოსობის ბრალია. მა[illegible] ისარგებლეს ომის მიერ გამოწვეულ [illegible] ლიერ განწყობილებით და „მუშათა [illegible] ღარიბ გლეხთა მთავრობის“ სახელ[illegible] ვიწრო ბოლშევიკური დიქტატურა გაა[illegible] ტონეს.

ამ გვარათ, ერთი შეხედვით, მენშევიზმი 1917 წლის გასულს სრულიად განადგურებულია და მის ალაგას ბოლშევიზმია გაბატონებული. მაგრამ, ნამდვილათ, ეს ასე არ არის. ამას ამტკიცებს ის მილიონი ხმა, რომელიც მენშევიკებმა მიიღეს დამფუძნებელ კრების არჩევნებში. თუ მოვიგონებთ, რომ პარტია არასოდეს, არც რევოლიუციის პირველ თვეებში, არ სჭარბობდა სხვა პარტიებს თავისი რიცხვით, არამედ ის ძლიერი იყო მხოლოდ თავის იდეური გავლენით, გამოდის, რომ პარტიას შერჩა ის შეგნებული ელემენტები, რომელსაც ის ეყრდნობოდა. ეს პატარა საქმე როდია, რადგან, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ჯერ კიდევ აგვისტოში იწინასწარმეტყველა მარტოვმა, რომ მასა ყველა ავანტიურისტს გაყვება, რომელიც კი მას ზავს შეპირდებაო. ეს ზავის აღმთქმელი პარტია—ბოლშევიკები უკვე ნიადაგს კარგვენ. ხალხი, თუმცა მწარე გამოცდილების შემდეგ, რწმუნდება, რომ დაპირება უფრო ადვილი ყოფილა, ვინემ დაპირების ასრულება.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ 1918 წელი კვლავ დაუბრუნებს მენშევიკებს იმ გავლენას, რომელიც მათ ქონდათ.

ზემოთ ნათქვამი არ [illegible] ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიას. ჩვენი სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ პარტიის ყველა ნაბიჯს ემორჩილებოდა ის. მაგრამ ის იმ თავიდანვე განსხვავებული შეხედულობის იყო ტაქტიკურ საკითხებში; ასეთი იყო მისი დამოკიდებულება კოალიციურ სამინისტროში სოციალისტების შესვლის შესახებ და შემდეგ ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობის შედგენის შესახებ.

პარტიის გადაწყვეტილება, რომ მისი წევრები სამინისტროში შესულიყვნენ, ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიამ მავნებლათ აღიარა. აგრეთვე დემოკრატიულ თათბირზე კავკასიელებმა წამოაყენეს მოთხოვნა ერთფეროვან დემოკრატიულ მთავრობის შედგენისა ცენზიან ელემენტების გარეშე, მაგრამ პარტიის უმრავლესობამ ეს არ მიიღო, რამაც ბოლშევიკების ავანტიურას ხელი შეუწყო.

ასეთს თავის შეხედულობას კავკასიის სოციალ-დემოკრატია ბეჯითად ატარებდა ცხოვრებაში და ამიტომ არის, რომ ბოლშევიკების ავანტიურას ჩვენში გასავალი არ ქონია და დღეს, შეიძლება ითქვას, ის სავსებით გაკოტრდა. ამიტომ არის, რომ კავკასიის სოციალდემოკრატია მთელი წლის განმავლობაში სათავეში ედგა კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობას. ასე რომ რევოლიუციის ბედი ამიერ-კავკასიაში მჭიდროთ არის შეკავშირებული სოციალ-დემოკრატიის ბედთან.

ამ 1918 წელს პარტიას ბევრი [illegible] საქმე აქვს გასაკეთებელი, მაგრამ მისი მოქმედების ხაზი იგივე რჩება: ეს არის მარქსიზმის პრინციპებზე დამყარებული სწორი რევოლიუციონური ტაქტიკა.

## კარლ კაუცკის წერილის გამო

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება კარლ კაუცკის წერილის თარგმანი, რომელიც ბოლშევიკების აჯანყებას ეხება.

სწორ უპოვარი მეცნიერი და საერთაშორისო პროლეტარიატის მთავარი ბელადი მიუდგომელი, ობიექტიური სისწორით ღრმა ანალიზს უკეთებს რუსეთის არსებულ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებს და იგი თამამათ ასკვნის, რომ ობიექტიური და სუბიექტიური პირობები სრულიადაც არ არის იმ ზომამდის დამწიფებული, რომ რუსეთის პროლეტარიატმა თავისი დიქტატურა გამოაცხადოს და კაპიტალისტური წარმოება სოციალისტურათ გარდაქმნას.

...რული მეცნიერი და მუშათა
...უდარებელი იდეოლოგი ხაზ-
...ით აღნიშნავს, რომ პროლეტა-
...ს დიქტატურის ან პროლეტა-
...ის რეჟიმის დროს კაპიტა-
...ური საწარმოო ურთიერთობა
...ლებელია. მაგრამ განა რუსეთში
...ომიურმა განვითარებამ იმ საფეხუ-
...ე მიაღწია, რომ კაპიტალისტური
...ოება სოციალისტურათ გარდაიქმნა-
...კითხულობს კაუცკი.
...ერ კიდევ 1905 წელს კაუცკიმ რუ-
...ს რევოლიუციას ღრმა ანალიზი გა-
...ა და სისწორით დაამტკიცა, რომ
...ეთის იმ დროის ობიექტიური და
...ექტიური პირობები მზათ არ იყო
...ალური რევოლიუციისთვის. ჩვენ
...ით, რომ ბალშევიკების ერთი მთა-
... ლიდერთაგანი ლ. ტროცკი 1905
...ს რევოლიუციას პერმანენტიულ რე-
...იუციათ აცხადებდა და მაშინაც და-
...ვნებლივ სოციალიზმის დამყარებას
...ოდა. მაგრამ რეალურმა მსვლელო-
... რევოლიუციის მამოძრავებელმა ძა-
...მა, ტროცკის უტოპია სრულიადაც
...აამართლა და პერმანენტიული რე-
...იუციის მაგიერ სამ ივლისის დუმა
...არდა. მას მერე რუსეთის პროლე-
...იატმა რეაქციის საშინელი ქარტე-
... გადიტანა და იგი დაბოლოს იმ
...ალითი მსოფლიო ომის მოწმე გა-
... რომელმაც მთელ კაცობრიობას
...ოუდგენელი უბედურება დაატეხა
...
...რლ კაუცკი სპეციალურათ შეხებია
...ალურ რევოლიუციის პრობლემას
...ან თავის ცნობილ წიგნაკებში შე-
...ვლათ დაამტკიცა, თუ რა ობიექ-
...ი და სუბიექტიური პირობებია სა-
..., რომ პროლეტარიატმა დიქტა-
...ა გამოაცხადოს და კაპიტალისტური
...ილება სოციალისტურათ გარდაქ-
... წარმოების უაღრესათ განვითარე-
...როლეტარიატის რიცხვით და შეგ-
...თ დამწიფება—აი ის საერთო პი-
...ბი, რომლის დროსაც შესაძლებე-
... პროლეტარიატმა თავისი დიქტა-
...ა გამოაცხადოს. მაგრამ დღეს არც
...ა და არც მეორეს არ ვხედავთ და
...ევიკების სოციალისტური რევო-
...კიის ექსპერიმენტები, პროლეტა-
...ის დიქტატურის გამოცხადება რე-
...უციის საშიშ მოვლენათ გადაიქცა.
... ისევ ფრიდრიხ ენგელსი თავის
...ს სწერდა, რომ პროლეტარიატის
... ძალა-უფლების უდროვოთ ხელში
...ება პროლეტარიატს უდიდეს უბე-
...ებათ მოევლინებაო.
... კაუცკის წერილი, რომლის
...მანი ჩვენს გაზეთში იბეჭდება,
...რს დაუწერია ბალშევიკების გა-
...ის მეოთხე დღეს. მაშასადამე დი-
...ლ მეცნიერს საშუალება არ ექნე-
... იმ ფაქტიური მასალით ესარგებ-
...რომელიც ბალშევიკების ავანტიუ-
...მეოხებით წარმოიშვა. ეკონომიუ-
... და საზოგადოებრივი ცხოვრების
...ი დეზორგანიზაცია, წვრილ-წვრი-
...კონომიურ ერთეულების წარმოშო-
...ნარქისტული კომუნების დაარსება
...არებისა და პროლეტარიატის დიქ-
...ურის გამოცხადები ერთ ედიდეს
...ურებათ გადაიქცა. და ამას საზო-
...ებრივი ცხოვრების სრული არევ-
...ვა მოყვა. ეჭვს გარეშეა ასეთ ფაქ-
...ს შემდეგ კარლ კაუცკი უფრო მე-
...გაბედულებით დაგმობდა ბალშევი-
... ანერქო-ბლანკისტურ ტაქტიკას
...ნტი-მარქსისტულათ გამოაცხადებ-
...ოლცა გერმანიის ორტოდოქსალური
... დაახლოებით გაეცნო ბალშევიკე-
...ვანტიურას, მათ ლეიპციგის „ფოლკს
...უნგში" შტეინის პირით სასტიკათ
...ო და იგი რევოლიუციის დამღუპ-
...თ გამოაცხადა.
...ახ გერმანიის სოციალ-დემოკრატე-
...ცნობილი თეორეტიკოსი და საერ-
...რისო პროლეტარიატის ბელადი
... კაუცკი რუსეთის ობიექტიური
...უბიექტიური პირობების ანალიზის
...ეგ ბალშევიკების სოციალიზმის
...რებას შეუძლებლათ ცნობს. ბალ-
...ების ავანტიურა და ანარქო-ბლან-
...ური ტაქტიკა ყველასაგან გაკიცხუ-
... და რუსეთშიაც პროლეტარია-
...უმრავლესობა მას საბოლოვოთ ჩა-
...ოდება.

## პრესა

...ეთი „რესპუბლიკა" მოწინავე წე-
...ში არკვევს შექმნილ მდგომარეობის
...ულეს და იმ დასკვნამდი მიდის,
... საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს
...გება ოსმალეთთან. ის სწერს:
...მიერ-კავკასიისთვის განსაკუთრებით
...რო საჩქაროთ მოისპოს საშიშროება
...ტზე და მეზობლებთან მშვიდობიანი
...ობილება დამყარდეს. ამიერ-კავკა-
... უმაღლესმა მთავრობამ ადგილობ-
...მთავარ ერთა საბჭოების თანხმობით
...ან უნდა აიღოს ხელში ინციატივა
... დასამყარებლათ კავკასიის ხალხთა
...რესების და საზოგადო სახელმწი-
...რივ ორიენტაციის ნიადაგზე".
...ნ ვეთანხმებით „რესპუბლიკას",
... საჭიროა ზავის ჩქარა ჩამოგდება,
...მ ამიერ-კავკასიის კომისარიატი
... ეყრდნობოდეს უპირველეს ყოვლისა
...თა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუ-
...ბის საბჭოთა ცენტრს.

* *
*

„საქართველოში" გ. ქ. პრესის ნაციონალიზაციას თხოულობს. მას უკვირს, რომ ქართველი მწერლები დღესაც რუსულ ენაზე სწერენ და ურჩევს მათ ამ 1918 წლიდან უპარტიო ქართული გაზეთი დაიარსონ და პირდება, რომ ხელის შემშლელი არავინ ეყოლებათ ჩვენს საზოგადოებაში, პირიქით შეიძლება თანაგრძნობაც მოიხვეჭონო.

შეიძლება, ეს ასეც იყოს, თუმცა არა გვგონია ქართველმა ხალხმა დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინოს იმ გეშეფთმახერებს, რომელნიც ორიოდე გროშის აღებას აპირებენ. მხოლოდ ერთი ვერ გაგვიგია, რა პრაქტიკული ზომების მიღება შეუძლია ქართულ ეროვნულ საბჭოს პრესის ნაციონალიზაციის სასარგებლოთ, რისაც გ. ქ. ითხოვს.

* *
*

„ვოზროჟდენიემ" უკვე აშკარათ გამოსთქვა თავის გულის ნადები. ის სწერს: „მომხდარი ამბები გვიმტკიცებს, რომ კავკასიის ორგანიზმს რაღაცა ავათმყოფობა ღრღნის, ამ ავათმყოფობას ვერ განკურნავს ვერც წოდებათა გაუქმება, ვერც მიწის საკითხის გადაჭრა და ვერც სამუშაო დღის მოწესრიგება...

ეს სენია ეროვნული საკითხი".

კომისარიატს დაჟინებით მიყავს კავკასიის მცხოვრებლები სოციალურ რეფორმების გზაზე, მაგრამ ცხოვრება უფრო ძლიერია კომისარიატზე და ადგილობრივ ერებს ეროვნულ ბრძოლისაკენ მიაქანებს...

„კომისარიატს გულუბრყვილოთ გონია, რომ იმის დეკრეტები ხალხთა შორის ძმობას უწყობენ ხელს, ცხოვრება კი თხოულობს ანგარიში გაუწიოთ განჯაში გასაგზავნ ჯარების ეროვნულ შემადგენლობას". ქვევით გაზეთი აღნიშნავს, რომ კომისარიატმა სოციალურ რეფორმებს თავი უნდა დაანებოს და ეროვნულ ტერიტორიების გადამიჯვნის საკითხს შეუდგეს და დაასკვნის: „საჭიროა თავი დავანებოთ თვითმპყრობელობისაგან შეთვისებულ კავკასიის ერთ ერთეულათ გარდაქმნას. საჭიროა დაუყონებლივ გამოყოფა საქართველოსი და მის საზღვრებში მართვა-გამგეობის მინიჭება ეროვნული საბჭოსთვის".

ამ ამონაწერს კომენტარიები არ ესაჭიროება: ნაციონალისტები გვირჩევენ სოციალურ რეფორმებს თავი დავანებოთ და კავკასიის ცალკე სახელმწიფოებათ დაყოფვას შეუდგეთ.

დემოკრატია პირნათლათ შეასრულებს თავის მოვალეობას და კაცი ჰამია ნაციონალისტებს შესაფერ ადგილს მიუჩენს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### სამხედრო ტყვეები.

„ნ. ჟ."-ში სამხედრო ტყვეების შესახებ შემდეგი წერილია მოთავსებული:

„რამდენიმე დღეა გაზეთები ათავსებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ ბალშევიკების შემოქმედებამ გამონახა თავისი ექსპერიმენტებისათვის ახალი ობიექტი სამხედრო ტყვეები. არავის ეგონა, თუ სამხედრო ტყვეებს გამოიყენებდენ შინაურ პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ რუსეთისათვის შეუძლებელი არაფერი ყოფილა, პეტროგრადის მ. და ჯ.-ქ. დეპუტატების საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ლ. ტროცკიმ უამბო დამსწრეთ, რომ სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა ივსტრიელ აფიცერის განცხადება, რომ ის უაღრესათ ინტერნაციონალისტური გრძნობებით არის გატაცებული და ნება დართო მას შეადგინოს სამხედრო ტყვეებისაგან რაზმი, რომელიც იქნება სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში, რომ ხელი შეუწყოს რუსეთის რევოლიუციის იდეალების განხორციელებას.

ჩვეულებრივი ენით რომ ვსთქვათ, ეს ნიშნავს სამხედრო ტყვეების შეიარაღებას კონტრ-რევოლიუციის მრავალ-თავიან ვეეშაპის წინააღმდეგ საბრძოლველათ, დაწყებული კალედინით და გათავებული დამფუძნებელ კრებით.

„იზვესტია" ერთგულათ ასრულებს თავის „იდეოლოგიურ" მოვალეობას. იგი მოაგონებს მკითხველებს, რომ „საჭიროა დაუყონებლივ შეუდგენ სამხედრო ტყვეების მდგომარეობის გაუმჯობესებას და მის ძირითად შეცვლას".

ამით რომ მხედველობაში ჰქონდეთ სამხედრო ტყვეების მხოლოდ სანიტარული, ეკონომიური, უფლებრივი და სხ. პირობების გაუმჯობესება, ახალ მთავრობას მიზნათ რომ დაესახა იმათი რევოლიუციონური აღზრდა საგანგებო გაზეთების გამოცემით, აგიტატორების გაგზავნით და სხ., ამას შეიძლებოდა ჩვენც მივსალმებოდით. რევოლიუციონურ რუსეთს შეეძლო მიეცა ზნეობრივობის მაღალი მაგალითი ყველა „მოწინავე" სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ფაქტიურათ აღადგინეს მონობა უბედურ სამხედრო ტყვეებისადმი თავის მოპყრობით.

მაგრამ სმოლნის ზე-კაცებისათვის ყველაფერი ეს კიდევ ცოტა აღმოჩნდა. მათ მთელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ხიშტებით იერიშს გაუთანასწორეს და სამხედრო ტყვეების საკითხსაც ისინი ხიშტის თვალსაზრისით მიუდგენ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რაზმში არ ჩაეწერება არც ერთი ტყვე სოციალისტი, ან ინტერნაციონალისტი, რომელიც შეგნებით და პატივისცემით ეპყრობა რუსეთის რევოლიუციას. რაზმში შევლენ—თუ მისი შედგენა თავისუფალ სურვილზე იქნა დამყარებული,—ან ისეთი პირები, რომლებსაც უნდათ ამღვრეულ წყალში თევზები დაიჭირონ, ან ვილჰელმის ერთგული ქვეშევრდომნი.

საინტერესოა ამას შევადაროთ ნ. დ. სოკოლოვის ცნობა ციმბირში სამხედრო ტყვეების შეთქმულების შესახებ, რომლებსაც უნდოდათ დახმარება აღმოეჩინათ გერმანელებისათვის, უკეთუ ისინი პეტროგრადისაკენ გამოილაშქრებდენ. დამახასიათებელია იმავე პირის ცნობა, რომ შავრაზმელები უკავშირდებიან სამხედრო ტყვეებს, რომ მათი დახმარებით მიაღწიონ თავის მიზნებს. ასეთ ხმებს, რა თქმა უნდა, ფრთხილათ უნდა მოვეპყრათ, მაგრამ ჯერ კიდევ გუშინ უფრო შესაძლებელი იყო როძიანკოსა და პურიშკევიჩის „რაზმები", ვინემ ტროცკისა და ლენინის. ვინაიდან ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა რეაქციონერები და კონსერვატორები მიმართავდენ დახმარებისათვის გარეშე მტერს შინაურ მტრების ასალაგმავათ, მაგრამ არასოდეს ეს არ მოუმოქმედნიათ რევოლიუციონერებს...

„პრავდა"-ს მწერლები ერთხელ კიდევ გვიწოდებენ კალედინცებს და შოვინისტებს—მაგრამ ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ასეთ უაზრო და საშიშ ავანტიურის წინააღმდეგ, რომელიც შემატებს რუსეთის სამხედრო ძალას თავისებურ „შვეიცარულ გვარდიას".

**რამდენათ მეტი ვრცელდება გაზეთი, იმდენათ მას უადვილდება არსებობა. თვითეულმა საკუთრათ გამოიწერეთ გაზეთი „ერთობა".**

## ახალი ამბები

**კაკი წერეთლის ავათმყოფობა.** ევგენი გეგეჭკორმა დეპეშა მიიღო, რომ კაკი წერეთელი სახლით ავათ გამხდარა. მიმართვა შეიძლება დამფუძნებელი კრების სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის საშუალებით.

**სეპარატიული ზავის შეკვრის** შესახებ ოსმალეთის მთავრობისაგან ამიერ-კავკასიის კომისარიატმა წინადადება მიიღო. ეს წინადადება კომისარიატს ჯერ არ განუხილავს. ზავის პირობებს დაწვრილებით გააცნობს კომისარიატს ოსმალეთის საგანგებო დელეგაცია, რომელიც თფილისში ჩამოვაო.

**ტრაპიზონიდან** აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს ამიერ კავკასიის სასურსათო გამგეობას, რომ აცნობონ კოოპერატივებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა მათ ტრაპიზონში გაგზავნონ წარმომადგენლები თუ სურთ თუთუნის, თხილის და დაფნის ფოთოლის შესყიდვა. ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენთ ყიდვისა და გამოტანის საქმეში კოოპერატივების წარმომადგენლებსო.

**მობილიზაცია.** ამ დღეებში ამიერ კავკასიის კომისარიატი გამოსცემს დეკრეტს მობილიზაციის შესახებ. განზრახულია ჯარში გაიწვიონ ექვსი თვის ვადით ყველა 19 წლიდან 32 წლამდე. მობილიზაცია გამოცხადდება 15 იანვრიდან.

**მდგომარეობა ევლახში.** ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. იკლო ძარცვა-გლეჯამ და თავდასხმამ, ტელეგრაფი მუშაობს.

**სროლისთვის დატუსაღება.** მილიციის უფროსმა რამდენიმე კაცი დაატუსაღა ქუჩაში სროლისთვის, მათ შორის უმეტესობა ჯარის კაცებია.

**მუღანლოს ველს თავს დაესხნენ.** როგორც დეპეშით გვატყობინებენ, მუღანლოს ველს კვლავ თავს დასხმიათ ავაზაკები და იქაურობა აუოხრებიათ.

**ჯარისკაცები უწესოებას ახდენენ.** ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის ზოგიერთი ნაწილები განაგრძობენ ჩვეულებრივ ძარცვა-გლეჯას სარაყამიშში, ქვას-ქვაზე აღარ სტოვებენ. რამდენი ეშელონი გამოივლის ყველას თავის მოვალეობათ მიაჩნიათ იქაურობა მიანგრ-მოანგრიოს და ისე გაუდგეს თავის გზას.

**შავი ჭირით** 10 ოქტომბრიდან 1 იანვრამდე ტრაპიზონის რაიონში ავად გამხდარა 24 კაცი. მათ შორის მომკვდარა 5 ჯარისკაცი და ერთიც ოსმალო.

**მუსულმანთა კომიტეტი** სთხოვს ამიერ-კავკასიის კომისარიატს დატოვებულ იქნას განჯაში ჯავშნიანი, მატარებელი.

**არმავირ-ტუაპსის** რკინის გზის გამგეობა სთხოვს ამიერ-კავკასიის კომისარიატს ფრონტიდან გაგზავნილ ჯარს ზღვით ტუაპსეში ნუ გადმოსხამენ.

**სპარსეთის საზღვრებიდან** არასანუგეშო ცნობები მოდის ამიერ-კავკასიის კომისარიატს. მოითხოვენ 4 ზარბაზანს. შახსევანები შეჩერდნენ იმის შიშით, რომ მუღანის ველში ჯარებია და დაგვამარცხებსო.

**ბეჭდვითი საქმის მუშათა კრება.** კვირას, 31 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება თფილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირისა. კრებამ განიხილა და მცირედის შესწორებით მიიღო კავშირის გამგეობის მიერ გამომუშავებული ახალი ტარიფი, რომლითაც მუშების ხელფასი გადიდებულა 10-დან 40 პროცენტამდე. ეს ახალი ტარიფი ამ დღეებში წარედგინება მეპატრონეთა კავშირს.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს ექვს საათზე, ხდება ქალაქის საბჭოს ს.-დემოკრატ მენშევიკთა ფრაქციის კრება. გასარჩევი მნიშვნელოვანი საკითხები და ამხანაგები უთუოთ უნდა დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მე-3 შემ.-გამსესხებელ ამხანაგობაში დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის წევრთა საგანგებო კრება. პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგებს აუცილებლათ გამოცხადდენ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, სახალხო სახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია კავკასიის გლეხთა ცენტრის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მე-3 რაიონის კოლექტივის წევრთა კრება (კახეთის მოედანი № 1).

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება: დღის წესრიგი: 1) საზოგადო კრება, 2) მცირე კოლექტივთა წევრების შეერთებული კრება, 3) პარტიული კლუბი და სხვ.

## პროვინციის კრონიკა

**ნიგოითი** (გურია). ეს საზოგადოება ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო სიმინდით, მაგრამ წელს ეს სოფელიც დაიმშა. ვისაც გასაყიდი სიმინდი აქვს, ჩაჰკეტეს სასიმინდეებში და გაიძახიან, დააწესეთ განსაზღვრული ფასები ჩითზე, ნარმაზე, წუღებზე და ჩვენც მოგცემთ სიმინდს ნიხრის თანახმათო. ამ საკითხის გასარჩევათ ამ დღეებში ადგილობრივ სკოლის დარბაზში მოხდა ჩოლაბარგის სოფლის მცხოვრებთა საერთო კრება. მოწინავე ამხანაგები შეეცადენ მოსალოდნელ უთანხმოების თავიდან ასაცილებლათ გამოენახათ შესაფერი ზომები. მათ მოუწოდეს სიმინდის პატრონებს მიეღოთ უფრო სერიოზული მონაწილეობა ამ კითხვის გადაჭრაში. დიდი კამათის შემდეგ კრებამ ხმის დიდი უმეტესობით დაადგინა, მოხდეს ზედმეტი სიმინდის რეკვიზიცია, მოგროვდეს ის ერთ ადგილას და სიმინდის პატრონებს დაურიგდეს შესაფერი კვიტანციები, სანამ არ გამომუშავდება საერთო სავალდებულო ნიხრი. საჭიროა დროზე მოხდეს საერთო ნიხრის დაკანონება, რომ თავიდან ავიცილოთ მდგომარეობის გართულება.

— 24 დეკემბერს სადგურ ნიგოითში სამწუხარო ამბავი მოხდა: დღის 12 საათზე მატარებელმა გასრისა სოფ. ამაღლების მცხოვრები ლევარსი კირილეს ძე დოლიძე.

## მუშათა წერილები

### ბალშევიკები ფრაქციიდან გარბიან.

ბალშევიკების ფრაქციული რაზმიდან ხელმძღვანელი ამხანაგები გარბიან. ისინი ვერ ურიგდებიან ლენინის ტერორს, მის ხიშტებს, მარქსიზმის ღალატს, პროლეტარიატის და რევოლიუციის დაღუპვის შიშს და შესაფერი განცხადებით სტოვებენ ფრაქციას და მიდიან. ამით უნდათ თავიდან მოიშორონ ის მძიმე პასუხისმგებლობა პროლეტარიატის წინაშე, რომელსაც მათ უმზადებს ლენინ-ტროცკის თვითმპყრობელობა.

„ნოვი ლუჩი" სწერს: „11 დეკემბერს რაიონული თვითმართველობის სხდომის გახსნისთანავე ბალშევიკმა თავმჯდომარემ განაცხადა ბალშევიკურ ფრაქციიდან გასვლა და თვით პრეზიდიუმიდანაც. მიზეზათ დაასახელა, რომ ის არ იზიარებს ისეთ ტაქტიკას, რომელმაც სახელი გაუტეხა საარჩევნო წარმომადგენლობათა ფორმას, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს ეს რაიონული თვითმართველობაო. მასთან სრულიად შეუფერებლათ მიაჩნია ლენინის მთავრობის აგიტაცია დამფ. კრების მოწვევის წინააღმდეგ მიმართული, და დამფ. კრების გარეკვაც, რომელიც კიდეც აშკარათ სჩანს მთავარსარდლის ბრძანებაშიო". ეს პირველი განცხადება და გამოსვლა არ არის და არც უკანასკნელი იქნები, ალბათ, ბალშევიკების ბანაკიდან. პეტრ. ცენტრ. თვითმართველობის ბალშევიკურ ფრაქციის მდივანმაც დასტოვა ფრაქცია ამ რამდენიმე დღის წინათ. როსტოველი ცნობილი ბალშევიკი ხმოსანი სმირნოვიც გავიდა ბალშევიკების პარტიიდან და მრავალი სხვანიც. აბა, ვინ იქნება ისეთი ჭკუათა მყოფელი, გულწრფელი სოციალისტი, რომ მუშათა საქმის ღალატს გულგრილათ უყურებდეს, ტაშს უკრავდეს, კმაყოფილი იყოს? არავინ. და კიდეც გარბიან გულწრფელი სოც.-დემ. ბალშევიკები ლენინის რაზმიდან.

### ბალშევიკები არიან, თუ შანტაჟისტები?

ბალშევიკებმა რომ პროლეტარიატის კლასიურ ინტერესებს უღალატეს, ეს ყველამ კარგათ იცის და ამას მოწმობს თვით გულწრფელი მუშათა იდეიით აღჭურვილი ბალშევიკურ ფრაქციის წევრების გასვლა ლენინის პარტიიდან, მაგრამ თუ ისე დაწვრილმანდებოდენ ბალშევიკები, რომ ანარქისტულ-შანტაჟისტურ სახეს და მეთოდს მიიღებდენ, ეს კი არ გვეგონა, მაგრამ, როგორც სჩანს, ყველაფერი ყოფილა მოსალოდნელი გზა-აბნეულ ბალშევიკებისაგან.

„ნოვი ლუჩი" სწერს: „სამარაში ბალშევიკების მიერ ვაჭრების და მწარმოებლების დაჭერა გრძელდება. ბალშევიკებმა მათ წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი—მოითხოვენ სულ რაღაც ერთ მილიონ მანეთს, მაგრამ კაპიტალისტები არ აძლევენო". რას ნიშნავს ფულის მოთხოვნა და მერე ასე ვაჭრობა? სამარის ბალშევიკები ლენინის „დეკრეტის" თანახმად, „სოციალიზმისათვის" იბრძვიან, თუ შანტაჟს ეწევიან?

მახსოვს, ამ რამოდენიმე წლის წინათ ქუთაისში ერთი ებრაელი ვაჭარი გაიტაცეს შანტაჟისტებმა და 50 ათას მან. მოითხოვდენ გამოსასყიდს, სანამ ფული არ მისცეს დასახსნელი, მანამ მოტაცებული ებრაელი არ გაუშვეს.

ქუთათურ შანტაჟისტებისაგან სამარის ბალშევიკები რითი განსხვავდებიან?

**აკ. პლებეიშვილი.**

## თფ. გუბ. მასწ. კავშ. დელეგატების ყრილობა

27 დეკემბერს გაიხსნა თფილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის ფილიალ განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობა. დაესწრენ დელეგატები 12 ფილიალ განყოფილებიდან, გუბერნიის სახალხო სკოლების მმართველი კომისია მთელი შემადგენლობით და კავშირის წევრნი.

ყრილობა გახსნა კავშირის თავმჯდომარემ ვ. ა. ბურჯანაძემ, რომლის წინადადების თანახმათ კრებამ ფეხზე წამოდგომით ატივი სცა განსვენებულ საზოგადო მოღვაწის და ლიტერატორის კიტა აბაშიძის ხსოვნას.

შემდეგ არჩეულ იქმნა ყრილობის პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ ვ. ა. ბურჯანაძე, მის ამხანაგათ ნ. დ. ყაზბეგი, მდივნებათ ი. კ. პეტროვი და ი. ვაშაკიძე. ყრილობის სხდომებმა გასტანა 29 დეკემბრამდე.

1) ყრილობამ სრული ნდობა გამოუცხადა ამიერ კავკასიის კომისარიატს და აღუთქვა მხარი დაუჭიროს ადგილობრივ რევოლიუციონურ მთავრობას, რომელიც მიისწრაფვის დამფუძნებელი კრების მოწვევის საშუალებით განამტკიცოს და გაატაროს ცხოვრებაში რევოლიუციის მიერ მოპოებული თავისუფლებანი და ამით უზრუნველჰყოს სახალხო სკოლის განვითარებისა და აყვავებისათვის საჭირო პირობები.

2) მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ვ. ბურჯანაძემ. ყრილობამ დადგინა: იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ცხოვრების პირობები თანდათან რთულდება, რომ პირველ მოთხოვნილების საგნების ფასი ზღაპრულად იწევს,—ამიერ-კავკასიისს კომისარიატის მიერ მიღებული ნორმა—210 მანეთი, არ შეიძლება აღიარებულ იქნას დამაკმაყოფილებელ ნორმად, ამიტომ დელეგატთა ყრილობა სკოლის საქმეთა ცოტაოდნათ წესიერ მსვლელობისათვის აუცილებელ საჭიროთ სთვლის გაუდიდდეს სახალხო მასწავლებელს ჯამაგირი 300 მ.-დე თვეში, (200 მ. ძირითადი და 100 მანეთი დამატება სიძვირის გამო), გარდა ბინისა, ბინის ქირისა, გათბობისა და განათებისა. ეთხოვოს კომისარიატს აღნიშნული მოთხოვნილების განხილვა და დამტკიცება, რაც შეიძლება მოკლე ხანში. ამასთან ყრილობა აღნიშნავს, რომ უკეთუ 1918 წლის იანვრის 20-დე სახალხო მასწავლებლებმა არ მიიღეს კომისარიატის მიერ დამტკიცებულის ახალი შტატის მიხედვით 1 ოქტომრიდან 210 მან.-ით შემდგარი განსხვავება, იძულებული იქნებიან შესწყვიტონ სწავლა.

ყრილობამ დაავალა პრეზიდიუმს აღძრას შუამდგომლობა კომისარიატის წინაშე, რათა ის 400 მან.-ნი ერთდროული დახმარება, რომელიც ეძლევა სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთ, (რომელთა შტატში ომის დროს ცვლილება არ მომხდარა ე. ი. ჯამაგირი არ მომატებიათ) გავრცელებულ იქმნას სახალხო სკოლების მასწავლებლებზე. (სამინისტრო, ყოფილ სამრევლო, ქალაქთა, უმაღლეს პირველ დაწყებით და სხვ.)...

3) ვ. ბურჯანაძის მოხსენების გამო სკოლების მართვა-გამგებლობის შესახებ, ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ დღევანდელს გარდამავალ ხანაში მთელი სიმძიმე სკოლის მოწყობის საქმეში ფაქტიურად მასწავლებლობას აწევს, დელეგატთა ყრილობა აუცილებელ საჭიროდ აღიარებს ორგანიზაციულად შეკავშირებულ მასწავლებლობის მიერ არჩეულ წარმომადგენლების მონაწილეობას თვითმართველობის ორგანოებთან არსებულ სწავლა-განათლების საქმის გამგე კომიტეტებში გადამწყვეტის ხმით.

მაგრამ ამასთან ყრილობას კარგად ესმის, რომ სწავლა-განათლების ნამდვილი ბატონ-პატრონი არის თვით ხალხი ოთხფორმულიანი სისტემით არჩეულ თვითმართველობის ორგანოთა სახით, ამიტომ სასკოლო კომიტეტში მასწავლებლობის წარმომადგენლების რაოდენობის მეტ-ნაკლებობაზე ლაპარაკს საჭიროდ არ სთვლის.

მასწავლებელთა კავშირმა, როგორც პროფესიონალურმა ორგანიზაციამ, არ შეიძლება მიითვისოს ადმინისტრატიული უფლება, რაც მხოლოდ თვითმართველობათა ორგანოების კუთვნილებას შეადგენს, რადგან, ასეთი მოთხოვნილება მასწავლებლობის მხრით დემოკრატიული პრინციპის დარღვევა იქნებოდა.

4. სკოლის ნაციონალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარების შესახებ (ვ. ბურჯანაძის მოხსენების გამო) ყრილობას გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: „იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგებაზე უნდა ზრუნავდეს თითოეული ერი და, რომ ადგილობრივ შექმნილ პირობების გამო ამიერ-კავკასიაში უკვე მოეწყო დროებითი ხასიათის ეროვნული საბჭოები, ამიერიდან სწავლა-აღზრდის საქმეც ხსენებულ საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს, ამავე საბჭოებს უნდა დაექვემდებაროს (ერობის შემოღებამდე) სახალხო სკოლების მმართველი კომისია, რომელსაც ევალება იმოქმედოს ეროვნულ საბჭოებთან არსებულ სასკოლო სექციების ხელმძღვანელობით.

5) ყრილობა აქცევს რა ყურადღებას საპროფესიო დარგში მომუშავე მასწავლებლებს ჭრა-კერვის, ხელსაქმის, სხვადასხვა ხელოსნების და სხვა უნუგეშო ნივთიერ მდგომარეობას, აუცილებელ საჭიროთ სთვლის ხსენებულ დარგის მასწავლებლები (გაკვეთილების რაოდენობის მიხედვით) გათანასწორებულ იქნან ჯამაგირებში ზოგადი ხასიათის საგნების მასწავლებლებთან.

6) ყრილობა, ითვალისწინებს რა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა ნივთიერ ხელმოკლეობას, საჭიროთ აღიარებს ხსენებულ საზოგადოებათა სკოლების დაუყოვნებლივ გადაცემას ერობათა და ქალაქთა თვითმართველობების ხელში, ხოლო ერობის შემოღებამდე აღნიშნული ტიპის სკოლების შენახვა უნდა დაეკისროს განათლების სამინისტროს ადგილობრივი სამოსწავლო ოლქის კომისარიატის სახით.

7) ვ. ბურჯანაძის მოხსენების გამო მასწავლებელთა სახლის დაარსების შესახებ, ყრილობა ადგენს: „სთვლის რა აუცილებლივ საჭიროებათ თფილისში, როგორც, გუბერნიის ისე ამიერ კავკასიის ცენტრში, მასწავლებელთა სახლის საჭიროებას, სადაც მოთავსებულ იქნება: პროვინციებიდან ჩამოსულ მასწავლებელთა ბინა, ბიბლიოთეკა, სათვალსაჩინო ნივთების კოლექციები, ლექციების მოსაწყობი დარბაზი და სხვა. ყრილობა ავალებს კავშირის მთავარ გამგეობას ეხლავე შეუდგენ ხსენებული მიზნისთვის ფულის შეგროვებას, ხოლო, სანამ საკმაო თანხა შეგროვდებოდეს საკუთარი სახლის შესაძენად, ეთხოვოს ქალაქს თვითმართველობას დაუთმოს კავშირს ერთ-ერთი თავისუფალი ქალაქის შენობა, რათა ამ შენობაში დროებით მოთავსებულ იქნას მასწავლებელთათვის საჭირო ბინა, ბიბლიოთეკა და კავშირის ბიურო.

8) ყრილობა ამტკიცებს მთავარი გამგეობის მიერ შემუშავებულ კავშირის წესდების პროექტს. ამ პროექტის მიხედვით ამიერიდან საგუბერნიო ინტერნაციონალური კავშირი უნდა შესდგეს ეროვნულ ორგანიზაციებისაგან. საგუბერნიო ეროვნულ მასწავლებელთა ორგანიზაციას ჰყავს თავისი გამგეობა 7 კაცისაგან შემდგარი. საგუბერნიო ეროვნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობა ირჩევს საგუბერნიო კავშირის მთავარ გამგეობას, შემდგარს 11 კაცისაგან. მთავარი გამგეობის არჩევის დროს დაცულ უნდა იქნას პროპორციონალური წესი ეროვნულ ორგანიზაციათა წევრთა რიცხვის მიხედვით.

კავშირის წევრად ითვლება სახალხო სკოლის მასწავლებელი, ან ყოფილი მასწავლებელი, რომელსაც შეაქვს საწევრო გადასახადი, წლიურად 3 მანეთი, ადგილობრივ ეროვნულ ორგანიზაციის კასაში. თითეულ ეროვნულ ორგანიზაციას შეაქვს საგუბერნიო ეროვნულ ორგანიზაციის კასაში შემოსავლის 25 პროც., ხოლო საგუბერნიო ინტერნაც. კავშირის კასაში შემოსავლის 15 პროც.

9) ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა კავშირის მთავარი გამგეობის მოქმედების მოკლე ანგარიში.

10) „საღვთო სჯულის" შესახებ (ბ-ნი ვაშაკიძის მოხსენების თანახმად) ყრილობამ დაადგინა ეს საგანი მომავალ...

სასწავლო წლიდან აღარ ისწავლებოდეს პირველ დაწყებით სკოლაში.

11. ყრილობამ პროტესტი გამოუცხადა ქალაქ თფილისში არსებულ სამინისტრო სკოლების მასწავლებელთა კორპორაციას, რომელიც მიუხედავად კავშირის დადგენილებისა, გამოვიდა ავანტიურისტულად, გაეფიცა მოწაფეებს და კავშირის აღმასრულებელ ორგანოს დაუკითხავად მართავდა პროვინციის ორგანიზაციებთან მიწერ-მოწერას და მოუწოდებდა ამხანაგებს დაეჭირათ მათთვის მხარი. ასეთი გამოსვლა აღნიშნული მასწავლებელთა ერთი ჯგუფისა დღევანდელ პირობებში ყრილობამ შეუწყნარებლად აღიარა, ასეთი საქციელი რევოლიუციონურ მთავრობამ საწინააღმდეგო აქტათ ჩასთვალა, და, ამიტომ, პროტესტთან ერთად გაკიცხვაც გამოუცხადა.

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე ფილიალ განყოფილებათა წარმომადგენლების მოხსენებები ადგილობრივ საქმეთა მსვლელობის შესახებ.

დელეგატებს მიეცათ საგზაო ხარჯი.

## წერილი სამურზაყანოდან

დღეს მორიგი საკითხი სამურზაყანოში არის ხულიგანების ალაგმვა. ამ ვაჟბატონების თარეშმა ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რომ, წარმოიდგინეთ, კომისარიატს უკან სთხოვენ იმ ყუმბარას, რომელიც მათ ესროლეს მილიციონერებს! ეს ვაჟბატონები უსირცხვილოთ „ნოტას“ უგზავნიან ამა თუ იმ დაბას ამა თუ იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე! ქურდობა, დაცემა, ძარცვა-გლეჯა ხომ ისე გახშირებულია, რომ იშვიათია დღე, რომ ორი-სამი მსხვერპლი არ იყოს. იყო მაგალითი სოფ. ნაბაკევში, რომ ერთი ოჯახი სრულიად ამოსწყვიტეს საწყალიძე, შარიას მკვლელობაც ხომ ამ ხულიგანების საქმეა! რა ქნა სამურზაყანომ, რით გასცა პასუხი ყველა ამაების მომქმედთ? არაფრით! შეიკრიბენ, ბევრი იწუხეს თავი, ერთი კიდევაც დასწყევლეს ეს „პატენეფი“ და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ! ამ კრებებზე თვით ეს ხულიგნებიც იღებდენ მონაწილეობას და სულ ადვილი შესაძლებელია სხვებზე მეტს კიდევ ისინი ყვიროდნენ! რატომ ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ ეს ვაჟბატონები საუკუნოებით მეფობდენ და თარეშობდენ სამურზაყანოში; იმათ ტრადიციით პატივს სცემს ხალხი, ეშინია მათი და ამიტომ არც უნდათ და ვერც ბედვენ, რომ ამ ხულიგნებს ომი გამოუცხადონ და ალაგმონ მათი თავგასულობა. ამ ვაჟბატონებმა იმ ზომაზე დაუკარგეს გონი ხალხს, რომ სამურზაყანო, ეს საუკეთესო კუთხე სიმდიდრით, ბედს იწყევლის, თუ ვისმეს ორიოდე ძროხა გააჩნია, არ იცის, თუ როდის წააკლავენ პატრონს. შარია—სამურზაყანოელი იყო. ის რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე სათავეში მოექცა მოძრაობას. მან კარგად იცოდა თავის კუთხის სნეულობა და უკუაგდო რა ყოველი პარტიული მუშაობა, მთელი თავისი ძალ-ღონე მოანდომა ავკაცობის მოსპობას, რის მსხვერპლი თვითონ გახდა. რით სცა პატივი შარიას ხსოვნას მისმა კუთხემ? არაფრით. იმით, რომ ავკაცობა უფრო გაძლიერდა და დღეს დაკეტილ სახლებშიც ეშინიათ ხალხს. რა უშველის ამას? რა თქმა უნდა არა ეს თუ ის კომისარი, არამედ თვით საზოგადოება. სამურზაყანოელებო! თქვენი ხსნა თქვენსავე ხელშია! თუ საზოგადოება მოინდომებს ავკაცობას 24 საათში მოსპობს და თუ საზოგადოებამ ასე გულგრილად მოექცა ყველა იმ უბედურებას, რაც დღეს ხდება სამურზაყანოში, ვერავითარი კომისარი, რა გენიოსიც არ იყოს ის, ვერას უშველის საქმეს. საზოგადოება კი ჩივის ილაჯგაწყვეტილობაზე და შესთხოვს ყველა გამვლელ-გამომვლელს, რომ რითიმე უშველონ მათ. რით შეიძლება უშველოთ? აი რით: ყველა ის ვაჟბატონები, რომლებიც დღეს ქურდობენ და ბაცაცობენ გამოცხადებული უნდა იქნენ კანონს გარეშე როგორც აშკარა კონტრ-რევოლიუციონერები და ხალხის მტრები. და მათ უნდა მოვექცეთ როგორც რევოლიუციის დაუძინებელ მტრებს! ამისათვის არის საჭირო ძალა და ეს ძალა კი უნდა მისცეს, სადაც საჭირო დარჩება, ხალხს ამიერ კავკასიის დროებითმა მთავრობამ. რა თქმა უნდა ამ ტლანქ ძალასთან არ უნდა დავივიწყოთ კულტურული მუშაობაც. ამიერ კავკასიის მთავრობამ სერიოზიული ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ კუთხეებს, თუ მას არ სურს ხალხს საბოლოოთ გული გაუტეხოს.

ვახო.

## სოციალური მედიცინის კითხვები

(მუნიციპალური მედიცინის ორგანიზაცია).

პირველ ხანებში ჩვენს მუნიციპალიტეტებს ხელს შეუშლის სალსრის უქონლობა და მცოდნე პირთა სიმცირე. დიდ ქალაქებში ამ დაბრკოლებებს სძლევენ, მაგრამ პატარა ქალაქები პირველ ხანებში ვერ შესძლებენ მოიწვიონ ექიმების საჭირო რიცხვი. ჩემის აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ექიმის სასანიტარო მოღვაწეობას. ეს იმიტომ, რომ, როგორც ზევით ვსთქვით, სნეულებათა შემცირება და მოსპობა შეიძლება მაშინ, თუ შევებრძოლებით გამომწვევ მიზეზებს. ამ მიზეზებთან ბრძოლა შეადგენს სანიტარული ექიმის მოღვაწეობის შინაარსს. მეორე მხრით, ყოველ ქალაქში მოიპოვება რამდენიმე ექიმი, რომელნიც სამკურნალო დახმარებას უწევენ მოქალაქეებს, მარა არავითარ სანიტარულ ფუნქციებს არ ასრულებენ.

ვინ უნდა უდგეს სათავეში მედიკო-სანიტარულ საქმეს?

ეს საკითხი ხშირათ ხდება სადაოთ ქალაქებში და ერობებში. ხშირათ ექიმები ლამობენ განთავისუფლდენ გამგეობის (ქალაქის ან ერობის) გავლენისაგან და ავტონომიურათ განაგონ სანიტარული საქმეები. გამგეობა კი ცდილობს კანტროლის ქვეშ იყოლიოს ექიმები. ექიმების მოსაზრება ის არის, რომ ეს სპეციალური საგანია და არა ექიმები არ უნდა ჩაერიონ შიგო. რაშია საქმე? როცა ოჯახში ვინმე ავათ გახდება, ჭირისუფლები მოიწვევენ ექიმს და მასთან ერთად თათბირობენ თუ როგორ იხსნან ავადმყოფი სნეულებისაგან. ექიმი, როგორც სპეციალისტი რჩევას აძლევს და ჭირისუფლები კი ასრულებენ, ცხოვრებაში ატარებენ ამ რჩევას. სწორეთ ასე უნდა დავაყენოთ საკითხი თვითმართველობების შესახებაც, ქალაქის ჭირისუფალი არის მოქალაქეების მიერ არჩეული მუნაციპალიტეტი და მისი აღმასრულებელი ორგანო—გამგეობა. აი, ეს გამგეობა უნდა ზრუნავდეს ხალხის ჯანმრთელობაზე; მან ექიმების და სხვა საექიმო პერსონალის შემწეობით უნდა მოაწყოს ეს საქმე. აქედან ცხადია, რომ მედიკო-სანიტარული საქმის გამგე ორგანოში უნდა შედიოდენ როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენელნი, აგრეთვე ქალაქის საექიმო-სასანიტარო დაწესებულებათა წარმომადგენელნიც.

ამნაირათ, ამ ორგანოში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მედიკო-სანიტარული საბჭო, უნდა იყვენ წარმოდგენილნი დაახლოვებით შემდეგი ორგანიზაციები: 1) გამგეობა, 2) ექიმები და პროვიზორები, 3) საშუალო საექიმო პერსონალი (ექიმის თანაშემწეები, ბებიები, მოწყალების დები), 4) დაბალი საექიმო პერსონალი და 5) სანიტარული მზრუნველები.

შესაძლებელია ზოგიერთმა ქალაქებმა რაიმე მიზეზების გამო ვერც ერთი ექიმი ვერ მოიწვიონ ჯერ. მიუხედავათ ამისა მედიკო-სანიტარული რჩევა მაინც უნდა დაარსონ, თუნდაც მარტო გამგეობის წევრებისაგან, რადგანაც ასეთი სანიტარული ორგანიზაციის ცენტრი შეიქმნება, ის შესძლებს ბევრი რამის გაკეთებას. სხვა რომ არა იყოს რა, თვით საკითხის დასმას ექნება დადებითი მნიშვნელობა. გარდა ამისა ამ ცენტრს ყოველთვის შეუძლია სათათბიროთ მოიწვიოს ექიმები და მათი დახმარებით შეიმუშაოს სხვადასხვა სანიტარული ზომები, რომლებსაც ის სანიტარული მზრუნველების შემწეობით გაატარებს ცხოვრებაში. ასეთი ცენტრი თვალყურს ადევნებს, რომ დაცული იქმნენ ის სანიტარული დადგენილებანი და განკარგულებანი, რომელნიც მთელს გუბერნიას ან მაზრას ეხებიან.

როცა ასეთი სანიტარული ორგანოები შეიქმნებიან ყველა ჩვენს ქალაქებში, მაშინ უნდა მოხდეს მუნიციპალური მედიკო-სანიტარული ყრილობა. ამ ყრილობამ უნდა შექმნას მუდმივი ბიურო, რომელსაც დაევალება სტატისტიკის შეკრება, ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება და შემდეგი ყრილობის მოწვევა.

არის კიდევ ერთი კარდინალური საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ეს არის ყველა მედიკო-სანიტარული საქმეების სამშობლო ენაზე წარმოების აუცილებლობა. საქმე იმაშია, რომ ქართულ ენაზე ფრიად ღარიბია სამკურნალო მეცნიერების ლიტერატურა ან უკეთ რომ ვსთქვათ სრულიად არ არსებობს იგი. თუ ჩვენი საერობო და მუნიციპალური ექიმები ვალდებული იქნებიან ქართულ ენაზე სწერონ ყველა თავისი მეცნიერული მოხსენებანი, მაშინ თავის თავად შეიქმნება ქართული საექიმო ლიტერატურა. ეს ლიტერატურა დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს, თავის მხრით ეს ფაკულტეტი დღიდან თავისი აღორძინებისა უნდა გახდეს ქართული საერობო, მუნიციპალური და საქარხნო-საფაბრიკო მედიცინის გზის მაჩვენებელი.

სამკურნალო მედიცინასთან მჭიდროთაა დაკავშირებული საფთიაქო საქმე. ჩვენმა მუნიციპალიტეტებმა ეხლავე უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება ამ საქმეს. აფთიაქების მუნიციპალიზაცია დიდი ხანია დღიურ წესრიგშია დასმული ჩვენში. მარა მისი განხორციელება ფერხდებოდა ძველი მუნიციპალიტეტების ბიუროკრატიზმით და უდარდელობით. დემოკრატიულმა მუნიციპალიტეტებმა დაუყოვნებლივ უნდა გაატარონ ცხოვრებაში ეს ფრიად მნიშვნელოვანი და სასარგებლო რეფორმა. აფთიაქების მუნიციპალიზაცია, ერთის მხრით, შემოსავალს შემატებს ქალაქის კასას და, მეორე მხრით,—საშუალებას მისცემს მოქალაქეებს ხელმისაწვდომ ფასებში იყიდონ წამლები. პირველი ნაბიჯი ამ საქმეში ის უნდა იყოს, რომ დღეიდან ქალაქებმა არავის მისცენ უფლება კერძო აფთიაქების გახსნისა. თუ საჭირო იქნება აფთიაქის გახსნა ქალაქის რომელიმე უბანში, ეს ქალაქმა უნდა გახსნას. შემდეგ კი უნდა ეცადოს უკვე არსებული აფთიაქების გამოსყიდვას. ამ საქმის კარგ ნიადაგზე დაყენება მით უფრო ადვილია, რომ ბევრ ჩვენს ქალაქებში დიდი ხანია არსებობენ ქალაქის აფთიაქები და მათი გამოცდილებით ისარგებლებენ ახალგაზდა მუნიციპალიტეტები. სასურველია, რომ მოხდებოდეს უკვე არსებული საქ. აფთიაქების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც შეიმუშავებს დაწვრილებითს გეგმას საფთიაქო საქმის მუნიციპალიზაციისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის პროვიზორები, რომელნიც მოღვაწეობენ ქალაქების აფთიაქებში, თავის გამოცდილებას და ცოდნას არ დაიშურებენ ამ დიადი სახალხო საქმისათვის და ქალაქების გამგეობებთან ერთად მკვიდრ საძირკველს ჩაუყრიან აფთიაქების მუნიციპალიზაციის საქმეს.

ექიმი ნ. რუხაძე.

## ჩემი სიმღერა

ოცი წლის განმავლობაში
ხელში მეჭირა ჩანგური,
სულსა მერჩია, მიყვარდა
ისე, ვით ლოთსა კახური;
სიმთ ვაჟღერებდი, ვმღეროდი,
ვიყავი ხალხის მსახური.

მაგრამ აწ ჩანგურს ძირს დავდებ,
განა დრო არის მღერისა?
დღეს ფარ-ხმალს უნდა ისხამდეს,
ვინც ერთგულია ერისა,
ვისაც სურს გახდეს მოსარჩლე
ჩაგრულთა ბედისწერისა!

დღემდე თუ სიტყვა კმაროდა,
დღეს მოქმედება გვჭირია:
სიტყვა თვინიერ საქმისა
უმნიშვნელო და მწირია...
ფუი მას, ვისაც ქვეყნისთვის
თავი ვერ გაუწირია!

ვ. რუხაძე.

## სოსო ნაცვლიშვილი

კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულათ დაეცა იგი. ნორჩი სიცოცხლე შესწირა იმ დიად მიზნებს, რომელთა განსახორციელებლათ მრავალ წლების განმავლობაში თავგანწირვით იბრძოდა კავკასიის დემოკრატია.

ამხანაგი სოსო ეკუთვნოდა იმ პირებს, რომლებმაც პირადი კეთილდღეობა, კერძო ცხოვრება და საკუთარი ოჯახი საერთო საქმეს დაუქვემდებარეს.

ახალგაზრდა სოსო აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლიუციის განმტკიცების საქმეში.

სოსო მილიციაში მსახურებდა და ერთ საუკეთესო მილიციონერათ ითვლებოდა, იგი მტერი იყო ყოველივე იმის, რაც სახელს უტეხდა მილიციას.

მან ფარდა ახადა მე-7 კომისარიატის კომისარის საქმიანობას, გამოააშკარავა მისი მექრთამეობა.

და ასეთი საუკეთესო ამხანაგი დაეცა შანტაჟისტ-კონტრ-რევოლიუციონერების ტყვიისაგან.

დღეს ვასაფლავებთ სოსოს...

დღეს ვესალმებით ძვირფას ამხანაგს, რომელმაც დაგვანახა, თუ როგორ უნდა რევოლიუციის წინაშე მოვალეობის ასრულება.

საუკუნო იქნება მისი ხსოვნა მის ამხანაგებს შორის.

ა. თ—იანი.

## რუსეთის ამბები

**დონის ოლქში** კალედინის მოხსენების თანახმად, რომელიც მან გააკეთა სამხედრო წრეში 15 დეკემბერს, მდგომარეობა ასეთი იყო:

სად. ლისკში მივიდა ბალშევიკური ჯარი მე-17 მსროლელი პოლკის ეშელონი და სად. მილლეროვოსკენ წაიწია. ეს ეშელონები, სულ ხუთამდე, იმყოფებოდა 10 ვერსის მოშორებით სად. ჩერტკოვოდან, ჯარს თან ჰქონდა არტილერია. ყაზახებმა სად. ჩერტკოვოსთან გააფუჭეს რკინის გზა. ატამანმა ასეთი ინსტრუქცია მისცა ყაზახთა დივიზიის უფროსს: უკეთუ ჯარი შემოსვლას დააპირებს ოლქში, უნდა შეჩერებულ იქნას საზღვარზე—წინადადება მიეცეს მათ იარაღი აიყარონ, ან უკან დაბრუნდენო. უკეთუ ბრძოლას დაიწყებენ, ბრძოლითვე გაეცეს პასუხი. ამას გარდა, ბალშევიკებს კიდევ ფრონტიდან მოჰყავთ დიდძალი ჯარი ჩვენს წინააღმდეგ ერთად ერთი ვორონეჟის გზით. მოსალოდნელია აგრეთვე საფრთხე ცარიცინიდანაცო, მაგრამ ცარიცინში ჯარები ცოტა ჰყავთ ბალშევიკებს, მთავარი ძალა მათი ვორონეჟის მხარეზეაო. ამ მოხსენების შემდეგ „წრემ“ ნება დართო ყაზახთა მთავრობას დონის ოლქის დასაცავად მოახდინოს მთელს ოლქში ყაზახთა მობილიზაცია.

იმავე „წრეში“ მოხსენება გააკეთა დელეგაციამ, რომელიც გაგზავნილი იყო ბალშევიკებთან მოსალაპარაკებლათ სად. ჩერტკოვოზე. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სად. ჩერტკოვო გამოუცხადებიათ ორივე მხარის შეთანხმებით. რკინის გზის მოძრაობა აღდგენილია. სად. ჩერტკოვოს იქით არავითარი ჯარის არც ყაზახთა და არც არა ყაზახთა გაგზავნა არ შეიძლება. ყაზახთა მთავრობა დონის ოლქს გარეთ არავითარ დამსჯელ რაზმს არ გზავნის. ყაზახთა „წრეში“ მივიდა აგრეთვე ორი ჯარისკაცი, სად. ჩერტკოვოს ახლოს მომქმედ ბალშევიკურ ჯარების დელეგატი. ამ დელეგატებმა სთხოვეს ყაზახთა მთავრობას გაეგზავნათ პეტროგრადში დელეგატები, რათა პეტროგრადის ჯარებისთვის საქმის ვითარება ახსნათ.

**კიევში** შესდგა სრულიად უკრაინის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა. ყრილობის ბალშევიკურ ფრაქციას კარგათ არ შეხვდენ. ბალშევიკების ფრაქცია იძულებული იყო ყრილობა დაეტოვებია. ყრილობაზე მოხსენებები წაიკითხეს გენერალურმა სეკრეტარებმა ვინიჩენკოს მეთაურობით. ყრილობა მკაცრი უარყოფით შეხვდა ბალშევიკურ ულტიმატუმს. რეზოლიუცია მოუწოდებს თავიდან აცილებულ იქნას სამოქალაქო ომი. ყრილობამ დაადგინა მოწოდებით მიმართოს რუსეთში მოსახლე ყველა ერებს ჩააქრონ სამოქალაქო ომი.

**უკრაინის საზღვრების დასაცავად** გენერალურმა სეკრეტარიატმა ზომები მიიღო. საზღვრებზე ჯარები დააყენეს. თვით უკრაინის ტერიტორიაზე დაუშვებენ მხოლოდ უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეთ.

**გერმანელთა დელეგაციას,** რომელიც ამ ჟამად პეტროგრადში იმყოფება, როგორც გარეშე საქმეთა კომისარიატი იუწყება, აზრათ ჰქონია სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების გაცვლის წესების გამომუშავება, ფოსტის აღდგენა და ეკონომიური დამოკიდებულების მოგვარება. დელეგაციაში იმყოფებიან: კონტრ-ადმირალი ბარონი კაიზერლინგი, კაპიტანი გერგანი და ლეიტენანტი კიურისი, მოელიან პეტროგრადის ყოფილ გერმანიის საელჩოს მრჩეველთაგან შემდგარ კომისიას. ამ კომისიის სათავეში იქნებიან: გრაფი კიულბახი და ავსტრიელი პრინცი გოგენლოე. ამ კომისიაში შევლენ აგრეთვე ბოლგარეთის და ოსმალეთის წარმომადგენლები. ამ კომისიამ უნდა გადასჭრას საკითხი რუსეთ-გერმანიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ. დელეგაციის ყველა წევრები თავიანთი ნივთებითურთ „ბრისტოლის“ სასტუმროში მოათავსეს, გერმანიის დელეგაციამ დაიკავა სასტუმროს ზედა სართული. 4 ოთახში დელეგაციის ბარგი მოათავსეს. დელეგაციის მეთაურმა კაიზერლინგმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: რუსეთს მე დიდი ხანია ვიცნობ. პეტროგრადში ოთხი წელი მიცხოვრია. გზაში ჩვენ გვეუბნებოდენ პეტროგრადში მისვლა საშიშოა, იქ შიმშილობააო, მაგრამ ამან ჩვენ ვერ შეგვაშინა, ვინაიდან გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ყოველ მხრით გაეცნოს რუსეთის სატახტო ქალაქის ცხოვრებას. შემდეგ მან დაასურათხატა ბერლინის ცხოვრება. მისი სიტყვით ომის დროს ცოტათი შეიცვალა ბერლინის ცხოვრება. ყველაფერი გაძვირდა, მაგრამ ისე კი არა, როგორც ეს პეტროგრადშია. დღეს კალოშის ყიდვა გვინდოდა აქ. დაგვიფასეს 100 მანეთად. ბერლინში კი 18—20 მანეთად იყიდით. სინამდვილეს არ შეეფერება ის ცნობები, თითქოს ბერლინში შესაძლებელი იყოს რევოლიუციის მოხდენა. არავითარ რევოლიუციაზე გერმანიაში არ ფიქრობენ. კერძოთ კი, არ შეიძლება ფიქრი სამხედრო აჯანყებაზე. ჩვენ, სამხედრო პირები, არავითარ პარტიას არ ვეკუთვნით.

ზავის შესახებ მან სთქვა: არა-ხელსაყრელ ზავს ჩვენ არ შევკრავთ და ვიბრძოლებთ ხანგრძლივათ. ამისთვის ჩვენ მზათა ვართ და საშუალებაც მოგვეპოვება. უკეთუ რუსეთთან ჩვენ სეპარატიულ ზავს შევკრავთ, მოკავშირეებთან ომი არ გვაფრთხობს კერძოთ კი, ამერიკასთან. ბალშევიკების შესახებ მან სთქვა: ბალშევიკებს, როგორც პარტიას, ჩვენში ნაკლებათ იცნობენ. ჩვენში იციან მხოლოდ ლენინი და ტროცკი. ისინი სახელმწიფო მოღვაწე პირებათ ითვლებიან, რუსეთის შინაური საქმეების შესახებ ის ამბობს: „ჩვენ ვიცოდით, რომ რუსეთის მდგომარეობა საძნელო იყო. ვიცოდით აგრეთვე, რომ სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ბრძოლა იყო“. მისი თქმით დელეგაცია მუშაობას დაამთავრებს რამდენიმე დღეში და გაუემგზავრებით უკანვე.

**ბელორუსთა ყრილობა** მინსკში 17 დეკ. მთვრალმა ბალშევიკ ჯარისკაცებმა გარეკეს. მათ მეთაურობდა გარნიზონის უფროსი მთვრალი კრივოშეინი და სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარე ლანდე. ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია ბელორუსიის მთავრობის შედგენის შესახებ. ამიტომ დაატყდა თავს ყრილობას ასეთი რისხვა. ყრილობაზე შეიყვანეს ჯარისკაცები, რომელთაც თოფის კონდახები აამუშავეს. სხდომის დარბაზში ყრილობის მონაწილეებმა ბარიკადები გამართეს და ბალშევიკებისავე თანადასწრებით გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ ბალშევიკების მთავრობას არ ვსცნობთო. ყრილობამ აირჩია საბჭო, რომელსაც მიანდო მუშაობა. დააპატიმრეს 28 კაცი. ბელორუსთა სამხედრო ცენტრალური რადის აღმასრულებელმა კომიტეტმა პროტესტი განაცხადა და ეს ამბავი პეტროგრადში ტროცკის აცნობა.

**სამხედრო ტყვეების** მიტინგი შესდგა პეტროგრადში 16 დეკემბერს. ეს მიტინგი მოაწყო ინტერნაც. იდეის პროპაგანდის კომისარმა. მიტინგს 1500 ტყვე დაესწრო—უმთავრესად ნემცები, უნგრელები და სლავიანები. დაესწრენ აგრეთვე მუშები და ჯარისკაცები. სახალხო კომისართა წარმომადგენელი მიტინგს არ დასწრებია. თავმჯდომარეთ აირჩიეს უნგრელი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის თავის ენაზე სთქვა, რომ უნგრეთის პროლეტარიატი დაინტერესებული არ არის ამ იმპერიალისტური ომითო. სხვა ორატორებმაც ამ გვარივე აზრი გაატარეს თავიანთ სიტყვებში. უფრო თავდაჭერილათ ილაპარაკეს ნემცებმა. დაბოლოს მიღებულ იქნა ინტერნაციონალური ხასიათის რეზოლიუცია.

**პეტროგრადის გარნიზონში** ამ უკანასკნელ ხანებში რაღაც მღელვარებაა. ამის გამო მთავრობას აზრათ აქვს რამდენიმე მიტინგი მოაწყოს ჯარისკაცებისა და განუმარტონ, რომ მათ მხარი უნდა დაუჭირონ საბჭოს მთავრობას და სიტყვის შეუბრუნებლათ შეასრულონ მისი ბრძანებანი. აზრათ აქვთ აგრეთვე ზოგიერთი ჯარები პეტროგრადიდან გაიყვანონ.

**ყოველი პარტიის წევრი მოვალეა საკუთრათ გამოიწეროს პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა“.**

## მუშათა შორის

**სად. ჯულფა.** არა ერთხელ ყოფილა აქაური ბუფეტის მოსამსახურეთა ცხოვრების აუტანლობა აღნიშნული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მარა დაწერილი დაწერილათ დარჩა და მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა კი უფრო და უფრო უარესდება. სწორეთ კალმით აუწერელია ხსენებულ მუშების მდგომარეობა, განსაკუთრებით მზარეულების. ბუფეტის პატრონი ყოფილი მზარეულია, მაგრამ მან დღეს სავსებით დაივიწყა თავისი წარსული, მას დღეს სრულებითაც არ აინტერესებს ყოფილი ამხანაგების ბედი. სამუშაო ბევრია, მუშების რიცხვი კი არ არის საკმაო. თუ ვინმე მოვიდა ადგილის სათხოვნელათ, ხაზეინი მას ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდება. და დღემდის არ შეხვედრია ისეთი ვინმე, რომ ხმა ამოეღო და ეთქვა რამე ამ თავგასულ ხაზეინისთვის.

8 საათის მაგივრათ ჩვენ გვამუშავებენ 15 საათს. მაგრამ ხაზეინის გული მაინც ვერ ძღება და ხშირათ გვლანძღავს, უდიერათ გვეპყრობა. არც გაზეთის კითხვის უფლებას გვაძლევს. თუ გაზეთი დაგვინახა ხელში, ვაი ჩვენი ბრალი! მოგვდგება და სულ გვლანძღავს, უცენზურო სიტყვებით შეგვამკობს.

საჭიროა ადგილობრივ აღმასრულებელმა კომიტეტმა და სადგურის გამგემ მიაქციონ ყურადღება თავგასულ ხაზეინის მოქმედებას, ვინაიდან მოსამსახურენი თითქმის ყველა მცირეწლოვანია და ძალა არ შესწევთ დაიცვან თავისი ინტერესები. ისინი სიტყვის თქმასაც ვერ უბედავენ ხაზეინს, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და უმოწყალოთ ყვლეფს საბრალო მცირეწლოვან მუშებს.

ჯულფელი მუშა.

## ბალშევიკების აჯანყება.

„სოციალისტიშე აუსლონდს პოლიტიკ“-ის მე-46 ნომერში მოთავსებულია **კარლ კაუცკის** წერილი. წერილი დაწერილია 29 ოქტომბერს ე. ი. 4 დღის შემდეგ ბალშევიკების მიერ მოხდენილი სახელმწიფო გადატრიალებისა. კაუცკი სწერს:

მსოფლიო ისტორიაში პირველი მაგალითია, რომ პროლეტარიატმა ხელთ იგდო უდიდესი სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. პროლეტარიატის ყოველგვარ აჯანყებას ყველა ქვეყნის სოციალისტები დღემდე ყოველთვის სალამს უძღვნიდენ ხოლმე და სიხარულით ეგებებოდენ. ასე იყო, მაგალითად რუსეთის რევოლიუციის მარტის დღეებში. ბალშევიკების წარმატებასაც, თითქოს უნდა გამოეწვია სოციალისტთა შორის უსაზღვრო აღფრთოვანება.

ნამდვილათ-კი, საერთაშორისო სოციალიზმის ფართო წრეებში, რამდენადაც ეს დღემდე არის გამორკვეული ბალშევიკების წარმატების ამბავმა დაბადა სამწუხარო და საშიში კითხვა რი[illegible] გათავდება ყველაფერი ეს. ასეთი [illegible]რემოება მით უფრო ადვილი ასახსნელია, თუ სახეში მივიღებთ იმ თავისებურობას, რომელშიაც მიმდინარეობს ეს აჯანყება და რომელიც ჰქმნის იმ საარაკო სიძნელეს, რომელშიაც ამ ჟამად ბრძოლას ეწევა რუსეთის სოციალ-დემოკრატია.

რუსეთის სახელმწიფოს მცხოვრებთა სამი-მეოთხედი მიწის მუშა ხალხია, მცხოვრებთა დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია, მიწის დამუშავების ტექნიკა ჩამორჩენილია, სამიმოსვლო გზები საკმარისი არ არის.

მაგრამ ამ ჩამორჩენილ მეურნეობის ქვეყნის ზოგიერთ სამრეწველო ცენტრებში, რომელი ცენტრებიც იმავ დროს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრების როლს ასრულებენ, განვითარდა თანამედროვე მსხვილი ინდუსტრია სამრეწველო პროლეტარიატითურთ, რომელიც მართალია ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ხის ხეჭოსაგან, გლეხის წრიდან გამოსული, მაგრამ ამავ დროს ეს პროლეტარიატი თავისუფალია იმ ბურჟუაზიული ტრადიციებისაგან, რომლითაც ასე დატვირთულია ბევრი ბურჟუაზიული რევოლიუციების მომხდენი დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი. საფრანგეთის მუშათა კლასში დღემდე ძლიერია დიდი რევოლიუციის ტრადიციათა გავლენა, ინგლისის მუშებზე ჯერ კიდევ ძლიერია ფრიტრედერის (ბურჟუაზიული რადიკალები, თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი) რადიკალების გავლენა. რუსეთის პროლეტარიატის ბელადები მარქსისტები არიან ე. ი. ისინი მიმდევარნი არიან პროლეტარული აზროვნების ახალი და უმაღლესი ფორმისა და ამის თანახმად რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე და გავლენიანი ჯგუფების მისწრაფებანი მოთავსებული იყო მარქსისტულ კალაპოტში.

სწორედ ამ ჯგუფებმა მიიყვანეს რუსეთის რევოლიუცია გამარჯვებამდე და ახლაც ეს ჯგუფები მეთაურობენ მას.

ამის წყალობით შეიქმნა რუსეთის რევოლიუციის საარაკო წინააღმდეგობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რევოლიუცია ქვეყნის პირობების მიხედვით ბურჟუაზიული, რომელსაც არ შეუძლია გახდეს სოციალისტურ რევოლიუციათ, ეყრდნობა პროლეტარიატს. პროლეტარიატს აქ ნათლად აქვს წარმოდგენილი თვისი კლასობრივი მიზნები, მტრული, შეურიგებელი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ ქვეყანასთან, ვიდრე ეს გამოუჩენია გამარჯვებული ბურჟუაზიული რევოლიუციების დროს დასავლეთ ევროპის ქვეყანათა პროლეტარიატს.

ამ გვარი წინააღმდეგობის დროს სოციალდემოკრატიის, როგორც პოლიტიკური ძალის მიერ, დამოუკიდებლობის შენახვა, თავისთავად ცხადია, რუსეთის სოციალისტებისთვის უდიდესი საქმე იქნებოდა. ამ მიზნის განხორციელებას მას მოუხდა საშინელი მსოფლიო ომის ხანაში, რა ნაირი ომიც ისტორიას არც კი ახსოვს.

ის ჯარი, რომელმაც ამ ომში მონაწილეობა მიიღო, 1905 წლის დამარცხება-გახრწნის ტრადიციებისგან არ იყო თავისუფალი. ჯარი გასჰქლიტა ულმობელმა ომმა, მისმა ხანგრძლივობა-უნაყოფობამ, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი და დამცირებანი შეიწირა. მხოლოდ ამ გარემოებამ გახადა შესაძლებლათ რევოლიუციის მოხდენა როგორც ჯარის, ისე მოქალაქეთა მიერ, მარტში ყველანი აჯანყდენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ერთნი იმიტომ, რომ თვითმპყრობელობა ხეირიანათ ვერ აწარმოებდა ომს, მეორენი იმიტომ, რომ თვითმპყრობელობამ ქვეყანას თავს დაატეხა ომის საშინელება. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა დიდი ნაწილი—მუშათა კლასის, გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის: ყველა მათ ზავი სწყუროდათ. რევოლიუციას მათთვის ზავი უნდა მოეტანა.

ზავის მომხრეთა შორისაც ორი მიმდინარეობა გაჩნდა. ერთნი მოითხოვდენ ზავს, რათაც არ უნდა დამჯდარიყო, რომ ბოლო მოღებოდა სიკვდილსა და შიმშილს. მეორენი არ ამცირებდენ ზავისადმი მისწრაფების დიად მნიშვნელობას, მაგრამ ისახავდენ ზავის ჩამოგდების დროს განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებს და უარყოფდენ ზავს, რომელიც დამყარებული იქნებოდა დამონავებაზე სხვა რომელიმე სახელმწიფოს, გინდ საკუთარი ერისა. ისინი მოითხოვდენ ისეთ ზავს, რომელიც უზრუნველყოფდა არა თუ ფიზიკური თავდაცვისა, არამედ —საერთაშორისო დემოკრატიის ძირითად მოთხოვნათა პრინციპებს შეეფერებოდა, გააღონიერებდა მას და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ნიადაგს გაამაგრებდა. უკანასკნელი მიმდინარეობის სოციალისტებს არ შეეძლოთ დაკმაყოფილებულიყვნენ იარაღის დაყრის უბრალო პროპაგანდით, მიუხედავათ იმისა, თუ რა შედეგი მოყვებოდა

...ვარ ქადაგებას, მაგრამ ამასთან ერთად ...ათ არ შეეძლოთ და არც უფლება ...ქონდათ იმისი, რომ მთავრობის ძალა-უფლება და ჯარები ბურჟუაზიის სრულ განკარგულებაში დარჩენილიყო. მშვიდობიან დროს კიდევ შეიძლებოდა სოციალისტები შერიგებოდენ იმ აზრს, რომ, რადგან რუსეთს არ ძალუძს ამ ...მად გარდაიქმნას სოციალისტურ სა...ელმწიფოთ, ხდება ის ერთ-ერთ ყველა... ...ურო თავისუფალ რესპუბლიკათ ...ელ მსოფლიოში, რომელიც ცხოვრე...ში გაატარებს დემოკრატიულ სოციალურ პოლიტიკას. კითხვის ასე გადაჭრა ...საძლებელი იქნებოდა არა თუ რუსე...ის, არამედ—ყველა ერებისათვის, მაგრამ ომის დროს ძალა-უფლების ბურჟუაზიის ხელში გადასვლა, რომელიც პროლეტარიატმა მოიპოვა, ნიშნავდა მთელი ჯარის ბურჟუაზიის ხელში გადაცემას, ნიშნავდა ნდობის გამოცხადებას ბურჟუაზიის ომის მიზნებისადმი, ზავის ჩამოგდების საქმეში, ეს ნიშნავდა ომის განგრძობას ანტიდემოკრატიულ და ანექსიური ინტერესებისათვის.

...ს ომი, რომელიც უსაზღვროთ აძნელებს ყოველგვარი მთავრობის მდგომარეობას, ომი რომელმაც აუტანელი გა... არევ-დარევა და უბედურებანი თვითმპყრობელი მთავრობის მიერ რევოლუციისადმი ნაანდერძევი, ომი რომელმაც მაქსიმუმამდე გაზარდა ჯარის და მცხოვრებთა მოთხოვნანი მთავრობისადმი და ამავე დროს შეასუსტა შესაძლებლობა ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა, ამ ომმა აიძულა სოციალდემოკრატია ხელში აეღო ეს არა სასურველი ძალა-უფლება, რომ ამით ხელი შეეშალა ბურჟუაზიის თვითმპყრობელობის დამყარებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევათ იყო ორი გზა, ორი საშვალება. აი აქ გაჩნდა დიდი უთანხმოება რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის წრეებში. მენშევიკები კოალიციური სამინისტროს შექმნით ცდილობდენ ბურჟუაზიის თვითმპყრობელობის დამკვიდრების ხელის შეშლას, ბალშევიკები კი, პროლეტარიატის დიქტატურის გზაზე შედგენ და აგრეთვე უნდა დაყრდნობოდენ რევოლუციონურ გლეხობას. ბალშევიკებმა ...ქვეს ხალხის მასსას დაუყოვნებლივ ზავი, უკეთუ მთელი ძალა-უფლება მუშების ხელში გადავიდოდა, ბურჟუაზიას კი ძალათ ჩავახშობთ და ის უვნებელი გახდება ქვეყნისთვის, თუ გინდ ქვეყანას სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლი მოედოსო.

ბალშევიკებს ლოზუნგები მარტივ აზრებს შეიცავდენ, რომლებიც ყველაზე ... შეეფერება პროლეტარიატის კლასობრივ მდგომარეობას. მაგრამ იმავე დროს ეს აზრი ისეთ ლოზუნგებს შეიცავდა, რომელიც ემუქრებოდა კიდევ ... გაძლიერებაა და გამწვავებაა ...ამდეგობანი პროლეტარიატის დიდ... სოციალურ აღტყინებასა და ...ის განვითარების დაბალ საფეხურს ...ის. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ნიშნავს კაპიტალისტური წარმოების გაუქმებას. პროლეტარული ...მის დროს კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელია. მიაღწია კი რუსეთმა ეკონომიური განვითარების იმ საფეხურს, როცა კაპიტალისტური წარმოება შეიძლება შეიცვალოს სოციალისტურათ? ამასთან სახეში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ პროლეტარიატი რუსეთში პოლიტიკურათ უძლურია, ის არ არის იმდენათ განვითარებული, რომ ხელი მოჰკიდოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის აპარატს და ის თავის მოთხოვნილების შესაფერად აამუშაოს. ასეთ პირობებში, თავისთავათ დაიბადა საფრთხე, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ გამხდარიყო სახელმწიფო წყობილების გამხრწნელ საშუალებათ, ნაცვლათ მისი გარდაქმნისა. ვინაიდან ასეთ პირობებში, როცა ზოგიერთ პროგრესიულ ცენტრებს ემუქრება საშიშროება გათელილ იქნან ქვეყნის ჩამორჩენილ ელემენტებისაგან, ასეთი საშიშროების ქვეშ მყოფი ელემენტები, ცხადია, შეეცდებიან განცალკევებას, ცალკე დამოუკიდებელი პროვინციების თუ თემების მოწყობას, როგორც ეს მოიმოქმედეს მე-70 წლებში ბაკუნინის მიმდევრებმა ისპანიაში.

ამ სახით, რუსეთის დღევანდელ პირობებში პროლეტარიატის დიქტატურა ემუქრებოდა გადაქცეულიყო ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური გახრწნილების საშუალებათ, ქვეყანა გადაექცია ქაოსათ, რევოლიუცია მორალურათ დაემარცხებია და კარი გაეღო კონტრ-რევოლიუციისათვის.

ეს საფრთხე ხელს უწყობდა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ ხანამდე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში მენშევიკების პოლიტიკა იმარჯვებდა, მიუხედავათ იმისა, რომ არავითარ ბურჟუაზიულ-პროლეტარულ სამინისტროს არ შეეძლო ყოფილიყო მაგარი და მუდმივი და არც არსებითი რამ შეეძლო მიეცა მას მასსისთვის. რამდენათ მეტხანს არსებობს ასეთი სამინისტრო, იმდენათ მეტათ იზრდება უკმაყოფილება-უნდობლობა ორივე მხრით, იმის მიხედვით, რამდენათაც ამ შეთანხმებულ კლასებში იზრდება შინაგანი უთანხმოებანი. ამის მიხედვით უფრო და უფრო ეცლება ფეხქვეშ ნიადაგი კოალიციონურ სამინისტროს. თუმცა რუსეთის კოალიციური სამინისტროები რევოლიუციის დროს, მათ შემქმნელთა აზრით, დროებითი მოვლენა იყო. მათი უმთავრესი მიზანი იყო, როგორც დროებითი მთავრობისა, ზავის მოახლოვება და დამფუძნებელი კრების მოწვევა. მათ შეეძლოთ თავიანთი მისიის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ შესძლებოდათ ზავის დაჩქარება და დამფუძნებელი კრების მოწვევა. რამდენათაც ნელის ნაბიჯით მიდიოდა ზავი, იმდენი სიჩქარით ინგრევა კოალიციური მთავრობა, იმდენათ იზრდებოდა ბალშევიზმის მომხრეთა რიცხვი, სანამ ბალშევიკებმა არ ჩაიგდეს ძალა-უფლება ხელში.

ახლა უნდა გამოაშკარავდეს,—აქვს თუ არა საფუძველი ბალშევიკების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საშიშროებას. როგორც ეტყობა, ბალშევიკებს ენერგია საკმაო აქვთ. მათ წრეებში მოიპოვებიან ინტელიგენტი, გამოცდილი ამხანაგები. მათ წინაშე დაბრკოლებები დიდია და თუ მათ ამ დაბრკოლებათა დაძლევა შესძლეს, ჩვენს თვალწინ მოხდება ისეთი რამ, რაც კაცობრიობას არ დაუნახავს და არ გაუგონია: კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა დადგება.

ამ მხრით ჯერ-ჯერობით გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. ეს არავითარ შემთხვევაში წინდაწინ არ სწყვეტს საკითხს, თითქოს ჩვენ შეგვეძლოს რუსეთის ამბებს პასიურათ მოვეპყრათ. დეე, ამ ამბების შედეგი როგორიც გნებავთ ისეთი იყოს; დეე, მათ გადააქციონ რუსეთი ფარ-ხმალ მოკლებულ არსებათ, რომლითაც ყოველს შეეძლება სურვილისამებრ ისარგებლოს, ან, პირიქით, ამ ამბებმა, დეე, გააძლიეროს რუსეთი—ვინც არ უნდა აღმოჩნდეს დაბოლოს მართალი,—ბალშევიკები, გინდ მენშევიკები, ყოველ შემთხვევაში რუსეთის ამბები ჩვენის მხრით მოითხოვენ ერთნაირ ნუგეშის ცემას: იმ მდგომარეობის შემსუბუქება, რომელშიაც ამ ჟამად რუსეთის პროლეტარიატი იმყოფება, ჩვენს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს.

ეს ჩვენი მოვალეობა, რომ დავეხმაროთ რუსეთის პროლეტარიატს, სხვა კი არაფერია, გარდა იმ მოვალეობის შესრულებისა, რომელიც ჩვენ გერმანიის პროლეტარიატის, ხალხის წინაშე უნდა შევასრულოთ. რამდენათაც გულ-მოდგინეთ და სისწორით შევასრულებთ ამ ჩვენს ვალს, იმდენათ კარგათ დავეხმარებით რუსეთის პროლეტარიატს.

ჩვენი ვალი გერმანიის ხალხის წინაშე მდგომარეობს ზავისთვის ბრძოლაში ჩვენი პრინციპების საფუძველზე და ბრძოლა გერმანიის დემოკრატიზაციისათვის.

პარლამენტარიზმის დამყარება გერმანიაში არის ერთი პატარა ნაწილი მისი დემოკრატიზაციისა. ეს აუცილებელია, მაგრამ ის სრულიად არ არის საკმარისი. რაც საყურადღებო არ უნდა იყოს მთავრობის ძალა-უფლების პარლამენტისთვის დამორჩილება, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიჰყევართ ქვეყნის დემოკრატიზაციისაკენ, უკეთუ მის გვერდით იზრდება პარლამენტის დამოკიდებულება ხალხის მასსისაგან. ყოველი პარლამენტი უძლურია, თუ ის არ ემყარება ხალხის მასსას. მეორეს მხრით ხალხის მასსაც უძლური იქნება პარლამენტარულ სახელმწიფოში, უკეთუ თავიანთ ბედიღბალის გადაჭრას პარლამენტის ნებაზე დაამყარებდენ.

მარქსი აღიარებდა პარლამენტის აუცილებლობას თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ამავე დროს ის აღიარებდა ხალხის მასის მიერ მასზე გარედან ძალდატანების აუცილებლობას. პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია ცარიელი ხმაა იმათ ენაზე, ვინც მოითხოვს ქვეყნის პარლამენტარიზაციას, და ამავე დრო ხელს უშლის პროლეტარიატს გავლენა მოახდინოს პარლამენტზე პროლეტარიატის ბრძოლის მეთოდის საშვალებით, ამდენათვე ცარიელი სიტყვებია ამ პოლიტიკოსების ენაზე რუსეთის რევოლიუციისადმი გამოთქმული სიმპატია.

სამწუხაროთ, გერმანიის მუშათა დიდი წრეები იმგვარი სოციალისტ-პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ დგანან, რომლებიც გერმანიის პროლეტარიატის ნებას ახშობენ ამ გადამჭრელ, მისთვის საბედისწერო დღეებში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ რუსეთის ამბები მოედება დასავლეთ ევროპას და გაიტაცებენ პროლეტარულ მასსებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ამ გვარი სოციალისტური ელემენტების გავლენის გატეხა პროლეტარიატზე.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნებოდა ამ მხრით რაიმეს წინასწარმეტყველება. ჩვენ ყველაფრისათვის მზათ უნდა ვიყოთ: ყველაფერ ცუდს უნდა ველოდეთ და აგრეთვე უნდა ველოდეთ ყველაფერ კარგსაც.

# უცხოეთი

**ავსტრიაში** 18 დეკემბერს ახალის სტილით სხვა და სხვა ადგილებში მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა. ლოზუნგი იყო—„დემოკრატია და ზავი". რეზოლიუციები ზავის მოთხოვნისა ყველგან ერთხმად იქნა მიღებული. „ფორვერტსის" სიტყვით 15 დეკემბერს ამგვარივე მიტინგები მომხდარა გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში. კრებებზე მოითხოვდენ „ზავს, თავისუფლებას და საარჩევნო უფლებას".

**ავსტრიის რეიხსრატმა** დაადგინა განიხილოს ჩეხების, სამხრეთის სლავიანების და რუსინების მოთხოვნა, რათა მათი წარმომადგენლებიც იქნან არჩეულნი რუსეთთან საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ. ამასთანავე განიხილავენ სოციალისტების მოთხოვნას უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპის გატარების შესახებ. ჩეხების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავსტრიაში მცხოვრებ ყველა ერებს უფლება აქვთ თვით-გამორკვევისაო. სოციალისტების მხრით ილაპარაკა ადლერმა. ნემეცმა ვალტნერმა პროტესტი განაცხადა ნაციათა წარმომადგენლების საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ.

**სტოკჰოლმში** შეიდემანის შემდეგ მივიდა ავსტრიელი სოციალისტი ვალტნერი. მან ისაუბრა ბალშევიკების წარმომადგენლებთან ზავის შესახებ. მან განაცხადა, რომ ავსტრო-უნგრეთის სოციალდემოკრატიას სურს მოელაპარაკოს მებრძოლი ქვეყნების წარმომადგენლებს საყოველთაო ზავის ჩამოგდების შესახებო.

**„ფორვერტსი"** მწუხარებას გამოსთქვამს, რომ დროებით შერიგების დროს რეიხსტაგი დახურულია და ასეთ ისტორიულ მომენტში ხალხის წარმომადგენლებს საშვალება ესპობათ საპასუხისმგებლო საქმეში მუშაობისაო. შემდეგ გაზეთი კითხვას ასე აყენებს—ნუ თუ ცენტრალური სახელმწიფოები ისარგებლებენ რუსეთის დემოკრატიის გაჭირვებით და შეეცდებიან დაპყრობის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი კომედიათ გადაიქცევაო. ნუ თუ რუსეთი, ეს მდიდარი და ვებერთელა სახელმწიფო, რამდენიმე ნაჭერი მიწისთვის ჩვენ საუკუნო მტრათ უნდა გავიხადოთო.

# სოც.-დემ. პარტიაში

**ძიმითი** (გურია). 26 დეკემბერს ქა მოხდა ძიმითის რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: რაიონის წარმომადგენლის მოხსენება; წლიური ანგარიში, კოლექტივის რეორგანიზაცია და გურიის ცენტრალურ ორგანიზაციაში წარმომადგენლების არჩევა. მოხსენება გურიის კომიტეტის 18 დეკემბრის სხდომის შესახებ კრებამ მოისმინა ნოე გოგელიასაგან. წლიური ანგარიშის განხილვა დაევალა კოლექტივს ახალ შემადგენლობას, ანგარიში გადატანილ უნდა იქნას „იაჩეიკებში" დასამტკიცებლათ. ვინაიდან რაიონულ კოლექტივს წევრებმა დაღლილობის გამო მოითხოვეს განთავისუფლება. კრებამ მოახდინა ახალი არჩევნები. არჩეულ იქნა 11 ახალი წევრი, გურის კომიტეტში სამი კაცი.

პარტიული კრება დაიხურა დღის პირველ საათზე. ორ საათზე დანიშნული იყო საზოგადო მიტინგი. შეიკრიბა დიდძალი ხალხი. მიტინგის საგანი იყო მომენტის შესახებ მოხსენების მოსმენა. მოხსენება გააკეთა ამხ. გოგუაძემ. მან მოკლეთ გააცნო დამსწრეთ რუსეთის დიდი რევოლიუციის ისტორია, ნათლათ დაასურათხატა სხვადასხვა პარტიების მოღვაწეობა რევოლიუციაში. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუციები: ვსცნობთ რა ამიერ კავკასიის კომისარიატს მთელი ამიერ კავკასიის მცხოვრებთა ნების გამომხატველათ, მხარს ვუჭერთ მას მუშაობაში. გულის წყრომას ვუცხადებთ ბალშევიკებს დამფუძნებელი კრების გარეკისათვის, რომ ისინი შეურაცხყოფას აყენებენ პროლეტარიატის და დემოკრატიის ჭეშმარიტ წინამძღოლებს, რომ ისინი უარჰყოფენ პრესის თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას და სხვ., სდევნიან სოციალისტებს და ქედს იხრიან გერმანიის იმპერიალისტების წინაშე. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას. მზათ ვართ დავიცვათ თავისუფლება, დამფუძნებელი კრება და ვებრძოლოთ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობებს, რომლებიც კონტრ-რევოლიუციის ნიადაგა უმზადებენ.

**კვარცხანა** (ბათუმის ოლქი). 17 დეკემბერს მოხდა კვარცხანის, რ. ს. დ. მ. პ. მენშევიკთა ორგანიზაციის წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. კრებამ იმსჯელა დამფუძნებელი კრების გარეკის და ჩვენი ცენტრალური ორგანოს „რაბოჩაია გაზეთის" დახურვის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა: გამოეცხადოს პროტესტი ბალშევიკებს ასეთი შავრაზმული მოქმედებისათვის. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს პრესის თავისუფლებას!

კრების თავმჯდომარე **არ. კაჭახიძე.**

# სამეგრელო-სამურზაყანოს ცხოვრებიდან

**(წერილი ზუგდიდიდან).**

ანარქიას ვერც სიმეგრელო—კერძოთ ზუგდიდის მაზრა და სამურზაყანო ასცდენ. აქაც ცხოვრება აირ-დაირია. გარეშე პირისათვის წარმოუდგენელია, თუ რა მდგომარეობაშია ამ მხრივ ზუგდიდის მაზრა და სამურზაყანო. მთელი ეს მხარეები ყაჩაღებითაა გავსებული და მათი ორგანიზაციის ქსელშია გახვეული. წინეთაც იყვენ აქ ყაჩაღები, ძველი დროიდან ახსოვს სამეგრელოს მათი თარეში, მაგრამ ამ ბოლო დროს მაინც, რაღაც წარმოუდგენელი რამ ხდება. დღემდე მხოლოდ ზუგდიდის მაზრის ან სამურზაყანოს რომელიმე კუთხეში თუ დათარეშობდა ერთი-ორი ყაჩაღი, რომელიც მხოლოდ ერთ კუთხეს აწუხებდა, მთელ სამეგრელოს ვერ სწვდებოდა სხვა კუთხეებში, შედარებით უფრო ნორმალური, დამშვიდებული ცხოვრება მიმდინარეობდა. ეხლა კი, ყაჩაღთა რიცხვი მრავალია და ისინიც ორგანიზაციულად შეკავშირებულნი არიან. მთელ სამეგრელო-სამურზაყანოში ტერორი გაამეფეს. ისე დღე არ გაივლის, რომ ზუგდიდში ცნობები არ მოვიდეს თავდასხმის და ძარცვა-გლეჯის შესახებ. მეზობელთან გადასვლაც საშიშროებას წარმოადგენს და გზებზე სიარული ხომ ყოვლად შეუძლებელი გახდა. რამდენიმე ეტლი და დელეჟანი რომ არ იქნას გაძარცული ან სოხუმის, ან სენაკის გზაზე, ისე ხომ დღე არ ჩაივლის. ძარცვა-გლეჯა ხდება აშკარათ, დაუმალავათ და იმის შემდეგ, რაც დელეჟანებმა მათი წყალობით მხოლოდ მზის სინათლეზე დაიწყეს მიმოსვლა, ყაჩაღობა შუა დღეზე ხდება. არ სტოვებენ არც გლეხს, არც მუშა-მეურმეს, არც ბავშვს და არც ქალს. ყველას სძარცვავენ, ყველაფერს ართმევენ და თუ ფული ვერ უპოვეს, ტანზე გახდიან, მარტო პერანგისამარა სტოვებენ. მაგალითად, 18 დეკემბერს, სოხუმის გზაზე, რამოდენიმე დელეჟანი გაძარცვეს. ყაჩაღები, ალბათ, არ დარჩენ კმაყოფილი შეგროვილი ფულებით და კაცებს ჩოხა-ახალუხი, ჩექმები წაართვეს, ქალებსაც კაბა გახადეს. ეს მოხდა ზუგდიდიდან მესამე ვერსზე. აი სადამდე მივიდა მათი თავხედობა. ამის შემდეგ არც არის გასაკვირი, თუ ზუგდიდელები ყოველ ღამეს მოელიან 40—50 კაცისაგან შემდგარ ყაჩაღთა ბრბოს თავდასხმას. საზოგადოება კი არავითარ ზომებს არ ხმარობს და არც შესწევს ამისათვის სათანადო ღონე, რადგან განუსაზღვრელ შიშის ქვეშ იმყოფება. გარდა ამისა, ასეთმა მდგომარეობამ ისე არია ცხოვრება, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში შეკავშირებული სოფლის საზოგადოება დაიქსაქსა, დაიშალა. გლეხობა ცალკე დარჩა უარადღოთ, უმწეოთ, მომუშავე ინტელიგენციას მოკლებული. ზუგდიდის მაზრაში ინტელიგენტები ძალიან ცოტანი მოიპოვებიან. სოფლის თავად-აზნაურობაც ცალკე დგას, რევოლიუციის ლოზუნგებით შეშინებული, ცალკე ირაზმება, ცალკე კავშირდება. ამნაირათ, სოფელი, რომელსაც ღონე არ შესწევს თავისი ძალებით გაუმკლავდეს ქვეყნის ნაძირალებს და ყაჩაღთა ბრბოებს, იმედის თვალით ადგილობრივ ცენტრს, ზუგდიდს, შეჰყურებს მაგრამ საუბედუროთ არც აქ არის სანუგეშო მდგომარეობა. აქაც დაიშალა ორგანიზაცია, საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო. ერთის მხრით დგანან ადგილობრივი დემოკრატიული დაწესებულებები და მათ ირგვლივ შეკავშირებული დემოკრატია, მეორე მხრით ადგილობრივი ვაჭრები. ეს მეორე მხარე არამც თუ ეხმარება პირველს, პირიქით, ყოველ ღონეს ხმარობს მის მუშაობას ნიადაგი გამოაცალოს. ასე, მაგალითად, ადგილობრივ მილიციონერებს სამი თვის განმავლობაში ჯამაგირი არ მიუღიათ და ბოლოს მოთმინებიდან გამოსულებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ალმ. კომიტეტმა ზომები იხმარა და 50 ათას მან. კრედიტი გაუხსნეს. საუბედუროთ, ფული აღარ აღმოჩნდა არც ფოსტაში და არც შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებებში. ვაჭრებს მიმართეს, ვაჭრებმა კი პირდაპირ უნდობლობა გამოუცხადეს. არავითარმა სიტყვამ, არავითარმა დაპირებამ მათზე გავლენა არ იქონია. როდესაც უდარაჯო, ღვთის ანაბარათ დარჩენილ საპატიმროდან ორი თუ სამი ტუსაღი გაიქცა და როდესაც აუხსნეს ვაჭრებს, რომ ასე გაიქცევა ტუსაღთა უმრავლესობა და ეს კი მათთვის მავნებელიაო, მხოლოდ მაშინ დაფაცურდენ და ფულის შეგროვებას შეუდგენ, ყველაფერს ებრძვიან აქაური ვაჭრები, რაც საზოგადოებისთვის კეთდება, ყოველივე ზომას, მცხოვრებლების სასარგებლოთ მიმართულს, ეწინააღმდეგებიან.

ზუგდიდის მაზრის და სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირმა 21 დეკემბერს საქონელი მიიღო. რადგან საჭირო საწყობები არ მოეპოვებოდა, რამოდენიმე დუქნის რეკვიზიცია გადასწყვიტეს. ასეთმა განკარგულებამ მთელი აყალმაყალი და განგაში გამოიწვია ადგილობრივ ვაჭრებში. მათი ეგრეთ წოდებულნი „ტუზები", პროტესტს პროტესტზე აცხადებდენ; როდესაც ამას წინათ ზუგდიდის კოოპერატივი სადგომს ეძებდა, იმავე პროტესტანტებმა ყველა ცალიერი სადგომები დაიქირავეს მხოლოდ იმიტომ, რომ რამე ნაირათ ხელი შეეშალათ კოოპერატივის მუშაობისთვის. ასეთია მდგომარეობა თვით ზუგდიდში, რომლის დემოკრატიული ნაწილი ადგილობრივ ვაჭრებთან ბრძოლას უნდება და სათანადო დახმარებას ვერ უწევს უყურადღებოთ დარჩენილ, ყაჩაღების მიერ ხელში ჩაგდებულ სოფელს. თუ როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა, ალლახმა უწყის, მაგრამ, ცხადია, თუ კიდევ დიდ ხანს გაგრძელდა, ისედაც აწეწილ-დაწეწილი, არეული ცხოვრება, უარესად აირევა. სოფლის ორგანიზაციები დაინგრევა—ზოგი ნაწილი საზოგადოებისა უკვე ახლაც მარჯვნივ გადახრილი, მთლად მოშორდება მარცხენა ფრთას და ეს კი ყველაფერი, არეულობის ბატონს—ანარქიას საშვალებას მისცემს უფრო მაგრათ გაიდგას ფესვები და მთლად ჩაახრჩოს მთელი ეს მხარე თავის კლანჭებში.

Uilli.

# რკინის გზაზე

სადგურ ალსტაფის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა სწორეთ საშინელია. ერთი მხრით ადგილობრივი მცხოვრებნი, თათრები, გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან ზოგიერთი ალვირ-წახსნილი ვაჟბატონების წყალობით, რაც იწვევს მოსამსახურეთა აღელვებას თავდასხმის მოლოდინში. ამან გამოიწვია მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობის მიერ ცოლშვილის გახიზნვა, მეორე მხრით ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ჯარისკაცების უხეირო ქცევა. არც ერთი მუშა ან მოსამსახურე დარწმუნებული არ არის, რომ მას უბედურება არ მოელის. მკითხველს ალბათ მოეხსენება, რომ სადგურ ძეგამიდან დაწყებული სადგურ ევლახამდე ყველა მოსამსახურეები გაძარცვეს. საქონლის მატარებლები დააცალიერეს და ას ორმოც ვერსზე ყველა სადგურები, გარდა განჯისა ცეცხლს მისცეს. რამოდენიმე ასი მუშა-მოსამსახურის ცოლშვილი საცვლების ამარა დაყარეს.

აუწერელია ყველა ის, რაც ზემოხსენებულ სადგურებზე მოხდა. რომელიც დღემდე გაძარცვას გადარჩა მოსალოდნელია იმათაც ისეთი ბედი ეწიოს თუ დროზე არ იქნა მიღებული შესაფერი ღონისძიება.

28 დეკემბერს დღის პირველ საათზე ტელეფონით გადმოგვცეს ალსტაფაში სად. სოგუტბულახიდან, რომ თავდასხმა დაიწყო და მოგვეშველეთო. ამ დროს იქ იდგა რამოდენიმე ეშელონი ჯარისკაცებისა. ამ ამბავმა მოსამსახურეებს შიშის ზარი დასცა. ამხ. ხუხუნაიშვილმა მიმართა ეშელონის უფროსს და სთხოვა დახმარება. ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა დახმარება აღგვითქვეს. საჩქაროთ გამოუძახეს ადგილობრივ წითელ გვარდიელებს, მუშა-მოსამსახურეთაგან შეიარაღებული გამოვიდა თორმეტი კაცი, ას ოცი ჯარისკაცი, შვიდი აფიცერი, მათ შორის ქართველი აფიცრებიც იყო, ოთხი ტყვიის მფრქვეველით, 1 ორთქლმავალი ორი საქონლის ვაგონით, დავსხედით საჩქაროთ და გავემართეთ საგუტ-ბულახში. როდესაც გავედით მდინარე მტკვარზე, ორთქლმავალი გაფუჭდა და უკანვე დაბრუნდა. ჯარისკაცებში აღმოჩნდენ ყოფილი პოლიციელები, რომლებმაც ააღელვეს ჯარისკაცები, აუხსნეს, რომ მანქანა ძალით გააფუჭეს და ეს მოსამსახურეები ყველანი პროვოკატორები არიან, ჩავიდეთ მახლობელ სადგურზე, მემანქანე და ყველა ეს მოსამსახურეები იქვე დავხოცოთო.

როდესაც დიდი ვაი-ვაგლახით ჩამოვედით სადგურ ფოილოში, შეშინებული მოსამსახურეები თავიანთი ცოლშვილით ბაქანზე დაგვიხვდენ, ჩვენ ძირს ჩამოვედით, ჯარისკაცებიც ჩამოვიდენ და დაიწყეს ერთი აურ-ზაური, ამავე დროს ერთმა იმათგანმა გაისროლა თოფი. ერთფაშათ იგრიალა თოფებმა, არავინ იცოდა ვის ესროდენ. მოსამსახურეთა ცოლშვილმა საშინელი წივილ-კივილი მორთეს. ისედაც შეშინებულ ხალხს თავზარი დასცეს. შემდეგ აფიცრების დახმარებით დაჩუმდენ. ამავე დროს ერთი ეშელონი კიდევ მოვიდა ქალაქის მხრიდან. ის გაფუჭებული ორთქლმავალი იქვე დავტოვეთ და ჩვენ ალსტაფაში დავბრუნდით.

საღამოს გადმოგვცეს ტელეფონით, რომ სად. საგუტ-ბულახი და სალოღლის „კეროსინოპროვოდი" სრულიად გაძარცვეს.

**მუშა ხიმონა.**

# პროვინცია

**ძლვნათ კახეთს.**

გილოცავ ახალ წელიწადს,
ჩემო ალაზნის ჭალაო;
კამეჩო ვენახებშიდა,
პურის ბელლებში ჩალაო;

ჯაგებში, მჯდომო ყაჩაღო,
ბაცაცა, ფხიზელ-თვალაო;
შირაქო, მცხვრების დედაო,
შიგ ტურა მგლების ფარაო.

სოფლებში მძრომო ჩარჩებო,
გლეხებო, ღვინით მთვრალაო;
ვაჟებო სამიკიტნოში,
ქალებო ბარაქალაო.

მღვდელ-დიაკვანო ქელეხში,
საყდრებში კი ფუფალაო,
—დღეს თუ ასე ხარ კახეთო,
უკეთ იყავი ხვალაო.

**ჯიბილა.**

---

**ამაღლება** (გურია). 30 დეკემბერს შესდგა ამაღლების საზოგადოების ჯარისკაცთა კრება სხვადასხვა კითხვების გასარჩევათ. კამათის შემდეგ კრებას ერთხმად გამოაქვს შემდეგი რეზოლიუციები: ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, აუცილებელ საჭიროთ ვცნოთ ეროვნული პოლკების შედგენას და პირველ მოთხოვნილებისათანავე ჩავეწერებით. ვინაიდან ზოგიერთი ჯარისკაცი ბრუნდება ფრონტიდან იარაღით, რომელსაც ზოგი ჰყიდის, ზოგი უბრალოთ პატრონებს სწვავს, ჯარისკაცთა კრება ირჩევს ხუთი კაცისაგან შემდგარ ბიუროს, რომელმაც უნდა ჩამოართვას ყველას თოფი, პატრონები და არა საიმედო პირებს რევოლვერებიც. დეზერტირობას კრება სცნობს სამარცხვინოთ და ავალებს არჩეულ ბიუროს მიიღოს ზომები დეზერტირთა წინააღმდეგ. ამის შემდეგ კრება ირჩევს კომისიას, რომელმაც საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად უნდა გადაათვალიეროს და გაასწოროს სია სათადარიგო ჯარისკაცთა ფულის მიმღებთა.

კრების თავმჯდომარე: **ს. დოლიძე, იპ. დოლიძე, ს. ხონელიძე.**

---

**ს. ჩოჩხათი** (გურია). 26 დეკემბერს მოხდა მრავალ-რიცხოვანი კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთეს დღევანდელი მომენტის შესახებ. ვრცლად გააცნეს საზოგადოებას დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, ბალშევიკების ავანტიურა და მათ მიერ დამფუძნებელი კრების გარეკა. ილაპარაკეს აგრეთვე კავკასიის კომისარიატის შესახებ. კრებამ მიიღო ერთხმათ შემდეგი რეზოლიუცია: პროტესტი გამოეცხადოს სახალხო კომისართა საბჭოს, რომელმაც დამფუძნებელი კრება არ დაინდო და მოუწოდებს ყველას მედგრათ დაიცვას დამფუძნებელი კრება, ვისთვისაც კი ძვირფასია თავისუფლება. სრულ ნდობას უცხადებს კრება კავკასიის კომისარიატს, ემორჩილება მის განკარგულებებს.

# ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

ჯარის-კაცი პლატონი გიგოს ძე ნოდია სენაკის მაზ. სოფ. აბაშის მცხოვრები მსახურებდა კავკასიის ლაშქარში ქართულ მსროლელ პოლკში მე-12 როტა მე-2 ვზვოდი. მე-5 თვეა არავითარი ცნობა არა აქვს მშობლებს; ვსთხოვთ თუ ვინმემ იცის მისი ამბავი გვაცნობოს შემდეგის მისამართით: ст Абаша. Григорію Надарейшвили.

— ჯარის-კაცი თეოფილე (იგივე) ესტატე გიორგის ძე ვაჩეიშვილი მსახურებდა: მომქმედ ჯარში მე-585 ყუბანის მსროლელ დრუჟინაში, მე-2 როტა, მე-3 ვზვოდში, რომელიც ორიდან ცხრა ივნისამდე 1916 წ. იმყოფებოდა სულტან-მურად-სუს მთაზე და მას შემდეგ არ ვიცით მის შესახებ არაფერი. თუ ვინმებ რამე იცის, ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: Батумъ почт. ящикъ № 113. Кварцханскій Мѣдеплавильный заводъ Ясону Вачейшвили.


**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.